



# საქართველოს ელტელგტაფია

გამოდის 1992 წლის იანვრიდან

№7 (53), თბილისი-მარტი

2015 წელი

**ქორეოლოგია — ქორეოგრაფია — საზოგადოება**

C  
M  
Y  
K



*ძვირფასო  
ქალბატონებო!*

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი ჯავზირი და გაზეთი "საქართველოს ქორეოგრაფია" გილოცავთ დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს. ვისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და წინსვლას პირად და ჯარიერულ ცხოვრებაში...

**მასკადისცია აჭარული  
ცეკვის კვლავკვალ**

**გვ.4**

**ფარსული, როგორც  
უნივერსალური სარიტუალო  
ცეკვა**

**გვ. 5**

**გავზოგა აღაშიანის ცხოვრების  
მთავარი ნიშანსვებია!**

**გვ.6**

**8 თებეხგადი დავით IV  
აღმაშენებლის  
ხსენების დღეა**

**გვ. 8**

**ქართული საგავზო  
ქორეოგრაფიის ფოლკლორული  
წყაროები**

**გვ.9**

**ერთი დღე ერევანში**

**გვ. 6**

**ოსეაშიუე ნომინიხეუედი  
„მანდახინეუი“**

**გვ.12**

**კავკასიური ცეკვის წრე — სასოულაბით,  
ხარ-ილათაბითა და სხვა აუხილაბალი  
აგრიზუგაბით... **გვ.2-3**  
(ვარიაციუედი ბრეხცის თემაზე)**


### ქვირფასო მკითხველო!

ჩვენი და თქვენი გაზეთის წინამდებარე ნომერს ხაზგასმულად სამეცნიერო-თეორიული მიმართულება გამოარჩევს. ამას თავისი მიზეზი და გამართლება აქვს. სარედაქციო კოლეგიას, მის ცალკეულ წევრებს, არაერთხელ უთქვამთ და დაუწერიათ კიდევ, რომ ქართული ქორეოკულტურის, მათ შორის საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ხელოვნების პრაქტიკული განვითარების დონე ამკარად წინაა წასული და ბევრად უსწრებს აღნიშნულ სფეროში არსებულ თეორიული გააზრების ფაქტოლოგიურ ვითარებას. ითვალისწინებს რა აღნიშნულ გარემოებას, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის სათანადო სტრუქტურები დიდ ყურადღებას უთმობენ ზემოაღნიშნული დისპროპორციის აღმოფხვრის საქმეს. სწორედ აღნიშნული მიზნის სარეალიზაციოდ, ჩვენ საჭიროდ მივიჩნით ჩვენი გაზეთის მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტანოთ ნაწილი ამ თეორიული გამოკვლევებისა, რომელიც ქართველი ქორეოლოგების მოწადინებითაა შექმნილი. იმედი გვაქვს, აღნიშნული მასალები გააძლიერებს და გააფართოებს მკითხველის ინტერესებს, გაზრდის თეორიული საქმიანობისადმი მათ მისწრაფებას.

## კავკასიური ხეობის წინა – საბუნებისმეტყველო, ხან-ილეთებითა და სხვა აუხილებელი აზროვნებით...

### (ვარტაყვიანი ბრძანების თემაზე)

#### რედაქტორის გვირგი ნარილი მასაზე



მკითხველს, ვინც ჩვენი წინა ორი ნომერის შინაარსს გაეცნო, უთუოდ ესხომება, რომ ერთიანი კავკასიური ცივილიზაციის წარმოშობა-ჩამოყალიბების თაობაზე თვალსაზრისის გამოთქმისას ვცდილობდით გაგვეგოთ თუ რა როლი ითამაშა აღნიშნულ პროცესში შუა საუკუნეების საქართველომ, აქ არსებულმა ვითარებამ, სამეფო კარმა, დინასტიურმა კავშირებმა და ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესაქმნელად გატარებულმა სამხედრო-სტრატეგიულმა მოქმედებებმა.

ფაქტია, რომ ქართული სამეფო კარი თავისი მონადინების სარეალიზაციოდ მხოლოდ სამომავლოდ ვარგისი სამხედრო-სტრატეგიული გათვლებით არ იფარგლებოდა. იგი შორეულ წარსულშიც იყურებოდა და სახვალთა ორიენტირებს სწორედ იქ არსებული, ხელჩაასაჭიდი რეალობების გათვლით აყალიბებდა. საღად მოაზროვნე, ანალიტიკური ჭკრეტის უნარის მქონე ადამიანები, ძველადაც და უფრო მოგვიანებითაც კარგად ხედავდნენ, რომ კავკასიის ძირითად, ავტოქტონ ხალხებს მართლაც გააჩნდათ უამრავი, მამსგავსებელი ნიშან-თვისება, რომელიც, მათი აზრით, სწორედ უძველესი საერთო წინაპრებისაგან მოდიოდა.

კარგად ჩანდა ისიც, რომ დრო-ჟამის სვლის კვალდაკვალ, მის ცალკეულ ეტაპზე კავკასიონის ქედის გადაღმა-გადმოღმა, ხევ-ხუეებში და მთისწინა ზოლის გაყოლებასზე მცხოვრებ ცალკეულ ხალხებს სხვადასხვა ჯიშისა თუ მოდგმის ეთნოსები შეერივნენ. ამის გამო ჩამოყალიბდა განსხვავებული ყადის საზოგადოებრივი მოდელები, ცხოვრების წესი და მისი მახასიათებლები. ყველაფერმა ამან დროთა განმავლობაში გამოიწვია ერთ-გვარი გაუცხოება, ენობრივი დაშორება, საარსებო საშუალებების ძებნაში მეტოქეობა და მტრობა-შურის ჩამოვარდნა. ამას მერე და მერე დაემატა ისტორიული კატაკ-

ლიზმები, დიდი იმპერია-სახელმწიფოების გამანადგურებელი შემოსევები და მათ ნაკვალევზე დარჩენილი ეთნოსების წარმომადგენლებთან შეგუება-ადაპტაციის პროცესებისათვის დამახასიათებელი სირთულეთა შემცველი ქმედებები.

ანტიკური ეპოქის გამოჩენილი ისტორიკოსი პლინიუს უმცროსი წერდა: კავკასიაში რომაელებს ადგილობრივ ეთნოსებთან კონტაქტების დასამყარებლად, 80-მდე თარჯიმანი სჭირდებოდათ. თეორიულად, დასაშვებია, რომ ენათა და კილოკავთა ასეთი სიჭრელე საუკუნეთა სიღრმეში სულაც ერთი საერთო ფუძე ენის დაშლის საფუძველზე შეიძლება წარმოშობილიყო. მეორეს მხრივ, ისიც მოსალოდნელია, რომ პლინიუსის ზემოთ მოტანილი ფრაზა სულაც გვიანდელ ვითარებას ასახავდეს. ეს, ალბათ, ასეც იქნებოდა, რადგან რომის იმპერიის ჩამოყალიბებისა და აღმოსავლეთით მისი გეგმაზომიერი დაძვრის დროისათვის, კავკასიაში კულტურული დუილის პროცესი, კარგა ხნის დაწყებული იყო. თუმცა, ერთიც სათქმელია – ასეთ შემთხვევაშიც კი ნაკლებსავარაუდოა, ისტორიული მესხიერება ისე გადაარეცხილიყო, რომ ეთნოსებს შორის კავშირის ნიშან-მახასიათებლები აღარავის სხომებოდა, ან, როგორც ახლა იტყვიან, დანალექის სახით მაინც არ დარჩენილიყო კოლექტიურ არაცნობიერში. აღნიშნული ვარაუდი უთუოდ დადასტურდება თუ კი შევძლებთ და კულტურის სხვა სფეროთა მიღწევების შედეგად მოპოვებულ მონაცემებს ქორეოლოგიური კვლევის რაკურსში მოვაქცევთ. დღეს უკვე დადასტურებულია, რომ არქეოლოგიური აღმოჩენები და რელიგიური წარმოდგენების ანალიტიკური კუთხით განხილვა ამგვარი დასკვნისათვის კარგ მასალას იძლევა.

სხვა საქმეა და ესეც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კავკასიის არეალში განსახლებული ეთნოსების განვითარების ტემპი ერთნაირი არასოდეს ყოფილა – ვიღაც ძალიან სწრაფად წავიდა წინ კულტურულ-ცივილიზაციური აღმავლობის გზაზე, ვიღაც კიდევ თვით XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისშიც კი უძველესი გვაროვნულ-ფეოდალური ურთიერთობების დონეზე დარჩა. მიუხედავად ამისა, როგორც დაკვირვება ადასტურებს, ყველა ამ ხალხის ისტორიულ მესხიერებაში, მის კოლექტიურ არაცნობიერში მართლაც დარჩა დანალექების სახის მქონე ერთიანობის ძველი იდეა, რომელიც სხვადასხვა ფორმით იჩენს ხოლმე თავს.

მილიონობით წლის წინ დაწესებული და მარად აქტიური ბუნებრივ-გეოგრაფიული პროცესების გავლენით, რომელიც შემდგომში სოციალურ მოვლენებშიც აისახა, კავკასიას იმთავითვე განესაზღვრა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია. იცვლებოდა საუკუნეები, თუმცა უცვლელი რჩებოდა ბუნებრივ-გეოგრაფიული განსახლებულობა, პარალელურად ტრანსფორმაციას განიცდიდა კავკასიის სტრატეგიული და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია. კერძოდ იგი ხან ბუნებრივი ზონა იყო ერთმანეთთან დაპირისპირებულ იმპერიებს შორის,

ხან კიდევ ერთ-ერთის, მართალია დროებით, მაგრამ მაინც შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა. წარმოდგენაც კი ძნელია იმ პროცესების საერთო მასშტაბებისა და მათი მომყოლი კულტურულ-ცივილიზაციური კატაკლიზმებისა თუ გავლენებისა, რომელიც ათასწლეულების მანძილზე ე.წ. დიდ კავკასიურ ქვაბში მოხარშა. ხეობები და ურარტუ, პართია და აღმოსავლეთ რომი, ბიზანტია, არაბები, მონღოლები, თურქები, სპარსეთი, ოსმალეთის იმპერიები და ბევრი სხვაც, სწორედ აქ ეჯახებოდნენ თუ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ყოველი მათგანის უკან იდეოლოგიურ იარაღად მომარჯვებული რელიგიური კონფესიები იდგა, მათ შორის ანტიკური ეპოქის მალაკულტურული შეფერილობის მქონე წარმართობა, აღმოსავლეთის დიდი იმპერიების (ხეტები, ურარტუ, პართია...) პოლითეისტური წარმოდგენები, მერე ქრისტიანობა და ისლამი თავისი სუნიზმითა და შიზმით... ამგვარ კატაკლიზმებს კავკასიაში უკვალოდ არ ჩაუვლია – ჩამოყალიბდნენ შერევა-შერწყმის გზით სახემილებული ხალხები, რომლებიც გაერთიანდნენ სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებსა და ოჯახებში (ინდოევროპული, იბერიული, თურქული, სემიტურ-ქამიტური...).

შედარებით გვიან საუკუნეებში კავკასიაში არა თუ მოიცილა, არამედ კიდევ უფრო მეტი სისავსით შეითავსა ფუნქცია, რომელიც ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მეოხებით დაეკისრა მას და რომელსაც იგი დღემდე ასრულებს. კერძოდ, კავკასიის არეალი იყო და ახლაც არის შემეკავშირებელი სივრცე და დამაბრკოლებელი ბარიერი დასავლეთ-აღმოსავლეთსა თუ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ნათქვამის საილუსტრაციოდ თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ უკვე თანამედროვე კავკასიაში იკვეთება ისეთი ზესახელმწიფოების ინტერესი, როგორც იყო და არის რუსეთი, თურქეთი და ირანი; დღეს მათ დამატება ამერიკის შეერთებული შტატები, ასევე ჩინეთისა და ინდოეთის მზარდი ინტერესებიც კი.

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს და გავგიმეორებია კიდევ, რომ კონკრეტულად აღებულ ერთი რომელიმე ქორეოგრაფიისათვის, შეიძლება დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდეს კავკასიის რეგიონში არსებულ ეთნიკური სიჭრელის ფენომენს, კონფესიურ განსხვავებებს. თავის შემოქმედებით საქმიანობაში ქორეოგრაფი იმ ზედაპირულ მიმამსგავსებელ შთაბეჭდილებებს შეიძლება დაეყრდნოს, რომელსაც რეგიონში მცხოვრები ინდივიდები ავლენენ საზოგადოდ. სამაგიეროდ, მკვლევარ-მეცნიერი ასეთი შთაბეჭდილებების იმედდად ვერ იქნება და მას სხვა, უფრო სარწმუნო არგუმენტების ძიება უნევს.

სადღეისო რეალობა ცივილიზაციური, კულტურული და ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით კავკასიის რეგიონში ასეთია: სამხრეთ კავკასიაში სამი ძირითადი ანუ ე.წ. „სატიტულო“ ერი ცხოვრობს: აზერბაიჯანელები, ქართველები და სომხები. სომხეთის გამოკლებით აზერბაიჯანი და საქართველო პოლიეთნიკურია. სომხეთი კი მონოეთნიკურია და აქ 5%-ს არ აჭარბებს

სხვა ხალხების ხვედრითი წილი. გაცილებით მრავალეთნიკურია ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა. აქ ხალხთა რამდენიმე ჯგუფი თუ ოჯახი ცხოვრობს. მათ შორის მკვიდრ კავკასიელებად ითვლებიან: ვაინახები (ჩეჩენები, ინგუშები, ნოვა-თუშები, დაღესტნელები. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ავარები, ლეზგები, დარგოელები (დარგინელები) და ლეკები). აქვე არიან აფსუა-აფხაზები და ჩერქეზები (ეს უკანასკნელი ხელოვნურადაა დაყოფილი ყაზარდოელებად, ადიღელებად და საკუთრივ ჩერქეზებად).

ჩრდილოეთ კავკასიის ძირძველი მკვიდრი მოსახლეობის გარდა აქ მრავალადა ირანული მოდგმის ოსები და თათები (მთის ებრაელები). აქვეა თურქული მოდგმის ხალხები ყარაჩაები და ბალყარები (ენათა ყოფილური ოჯახის წარმომადგენლები). მეცნიერთა აზრით ეს ერთი და იგივე ხალხია, თუმცა საუბრით ისინი ერთი ენის ორ დიალექტზე ლაპარაკობენ. აღნიშნულ ჩამონათვალს ემატება კვლავ თურქული მოდგმის ხალხები ყუმუხები და ნოღაელები, რომლებიც დაღესტნის საზღვარში ცხოვრობენ.

ახლა ვნახოთ რა ხდება ენობრივი თვალსაზრისით. კავკასიის მასშტაბით მოქმედებს ოთხი ძირითადი ენობრივი ჯგუფი. ესენია: კავკასიური (ზოგჯერ მას პალეოკავკასიურს ანუ უძველეს კავკასიურს უწოდებენ; ინდოევროპული, თურქული და სემიტური. ენათმეცნიერთა საერთო აზრით ამ ჯგუფებში ყველაზე ძველი და აღნიშნულ რეგიონში სხვაზე ადრე დასახლებული უნდა იყოს პალეოკავკასიურ ენებზე მოსაუბრე ხალხი, სხვა დანარჩენი უფრო გვიან მოსული და ადგილობრივებთან თანაცხოვრების გზით დამკვიდრებული ჩანს.

აღნიშნულ ენობრივ ჯგუფს (კავკასიურს) ჩრდილოეთ მხარეს ანუ ქედს გადაღმა ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა ჩეჩენების სახით ჰყავს. მას მოსდევენ ყაზარდოელები ყუბანისა და თერგის აუზებიდან. ამის მერე კი მოდიან აფხაზები, ინგუშები, ადიღელები და ლეზგები...

რაც შეეხება ქედსაგამოღმა ვითარებას, აქ კავკასიურ ენათა ოჯახს მიკუთვნებული ხალხიდან ყველაზე მეტი საუბრობს ქართულ ენაზე და მის დიალექტებზე. ერთ-გვარი დასკვნით შეიძლება გავვეზიარებინა მეცნიერთა დიდი ჯგუფის აზრი, რომ კავკასიურ ენათა დიდ ოჯახში ორი დიდი პლუსტი არსებობს. ესაა – ქართველური (თავისი დიალექტებით (მეგრულ-ჭანური (ლაზური) და სვანური, და ჩრდილოეთ-კავკასიური თავისი დაღესტნური და აფხაზურ-ადიღეური ენობრივი ჯგუფებით).

კავკასიაში, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მოსახლეობს ინდოევროპული წარმომავლობის ხალხები. ესენია სომხები და ოსები. სომხეთა წინაპრები ძვ.წ. I ათასწლეულში ანატოლიის სივრცეებიდან მოსულებად მიიჩნევიან. ოსები კი ირანიდან მოსული მომთაბარე ხალხის შთამომავალი არიან, რომლებიც ძვ.წ. VII-IV საუკუნეებში გადაადგილდებოდნენ სამხრეთ-დასავლეთ სტეპებში, ვიდრე იქედან ჰუნები არ გამოდევნეს და კავკასიონის ვიწრობებში არ შემოიყვანეს.

ისტორიკოსები ამ ხალხს რამდენიმე სხვა-დასხვა სახელით მოიხსენიებენ – ალანები, სკვითები, სარმატები...

ინდოევროპული ჯიშის ხალხთა წარმომადგენლობიდან ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა დღევანდელ კავკასიაში, მის სხვა-დასხვა რეგიონში მოსახლეობენ სლავები, ქურთები, თათები, თალიშები, ბერძნები და ბოშები.

თურქული მოდგმის ხალხთაგან კავკასიაში ბინადრობენ აზერბაიჯანელები (სამხრეთი ნაწილი). მეცნიერთა აზრით ეს არ არის მონოეთნიკური მოსახლეობა და წარმოშობილია სხვადასხვა ხალხის შერევის გზით. კერძოდ, თავდაპირველი საწყისი ამ ხალხისა უნდა იყოს ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობისა და მიდგილების შერევის გზით მიღებული ეთნოსური მასა. მოგვიანებით, კერძოდ, სასანიანთა ირანის ბატონობის ხანაში (ძვ.წ. VII-III სს.) მოხდა მათი სპარსიზაცია, ხოლო ისტორიის ასპარეზზე სელჩუკების გამოჩენისა და მათი დაპყრობითი პოლიტიკის მეოხებით XI ს-ში იწყება აღნიშნული ხალხის თურქიზაცია.

აღნიშნულ ენობრივ ჯგუფს ჩრდილოეთ კავკასიაში მიეკუთვნება ყივჩაღური მოდგმის თურქული ხალხები: ნოღაელები, ყარაჩაელები, ყუმუხები და ბალყარელები. ესაა მუსულმანური აღმსარებლობის ხალხი, რომელთა წარმოშობა ბოლომდე ნათელი არ არის. ერთადერთი, რაზედაც მეცნიერები ნაკლებად დაობენ ისაა, რომ მათი აზრით, ნოღაელები ოქროს ურდოს დაშლის შემდგომ კავკასიაში დარჩენილი ხალხი უნდა იყოს.

სემიტური ჯგუფის ხალხიდან კავკასიაში ცხოვრობენ ასირიელები, რომლებიც აქ XIX ს-ის დასაწყისიდან გამოჩნდნენ (I მსოფლიო ომის გამო) და ძირითადად ქალაქებში მოსახლეობენ.

კავკასიის ხალხები სხვადასხვა გარემოებათა, მათ შორის უპირველესად ცხოვრების წესის გამო, ერთმანეთს ჰგვანან ტრადიციული ეკონომიკის ძირითადი დარგების განვითარების მარცხენა ნიშნების მიხედვით. კერძოდ აქ ისტორიულად წამყვანი იყო და არის სოფლის მეურნეობა, მესაქონლეობა და შინამრეწველობა – ხელოსნობა. მძიმე ინდუსტრიისა და მრეწველობის განვითარებისათვის, თვით XIX ს-ის შუა წლებამდე მაინც, კავკასიის რეგიონში განსაკუთრებული ნაბიჯები არ გადადგმულა. ამან ნაწილობრივ განაპირობა ის გარემოება, რომ მთელს კავკასიაში გვიან პერიოდამდე შენარჩუნებული იყო პატრიარქალური სისტემისა და ტომობრივი ურთიერთობების ნიშნები. თავისებურად შეიყვანებოთ განვითარდა ფეოდალური ურთიერთობებიც და თანაც, მხოლოდ მის სამხრეთ ნაწილში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და ჩრდ. კავკასიის ზოგიერთ ნაწილში).

ეჭვგარეშეა, რომ კავკასიის, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა შორის წამყვანი კულტურულ-ისტორიული ფუნქცია ისტორიულად საქართველოს ეკისრებოდა და ეკისრება.

ქართველი ერის შიდა სტრუქტურული მთლიანობა დაფუძნებულია რამდენიმე სუბეთნიკური ჯგუფის ერთიანობაზე. ესენია: ქართები, მეგრელები და სვანები. ამას ემატება საქართველოს დღევანდელ საზღვრებს მიღმა, კერძოდ თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ლაზები. მათი გარკვეული ნაწილი ცხოვრობს აგრეთვე საქართველოშიც, კერძოდ სარგამში.

თითოეული ამ სუბეთნიკური ჯგუფის შემადგენლობაში შედის რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი, რომელიც გაშლილია სურამის ქედით გაყოფილ იმერ-ამერში. დასავლეთ საქართველოში ასეთი ჯგუფებია: იმერლები, გურულები, აჭარლები, რაჭველები, ლეჩხუმელები; საქართველოს აღმოსავლეთით ამ ჯგუფში შედიან – ქართლები, კახელები, მთიელები, მოხევეები, ფშაველები, ხევსურები, თუშები. ზოგჯერ თითოეულ ამ ჯგუფში, უფრო ზუსტად აღნიშნული ჯგუფიდან გამოყოფენ უფრო მცირე ჯგუფებს. მაგალითად, კახელებისაგან გამოიყოფა ქიზიყელები, მთიულეებისაგან – გუდამაყრელები.

ინგილოები იყოფიან ქრისტიან და მუსულმანურ ჯგუფებად, ასევე მესხებიც დაყოფილნი არიან მართლმადიდებლებად და კათოლიციზმის მიმდევრებად. საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის რამდენიმე

ხეობაში ცხოვრობენ ჩაჩურ-ინგუშური ენების მონათესავე კილოკავზე მოსაუბრე ნოვა-თუშები ანუ ბაცები. მიუხედავად იმისა, რომ მათი ენა განსხვავებულია და ქართველური არ არის, სხვა ყველაფერი (რელიგია, კულტურა, ცხოვრების წესი, გვარ-სახელები) მთლიანად ქართულია.

ახლა ვნახოთ თუ როგორი ვითარება გვაქვს კავკასიის ხალხებში რელიგიური კონფესიებისადმი მათი მიკუთვნებულობის თვალსაზრისით.

იმერ და ამიერკავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში განთავსებული ხალხების რელიგიური მიკუთვნებულობის თაობაზე საუბარი მხოლოდ გვიანდელი, უფრო ზუსტად თანამედროვე რეალობების მიხედვით შეიძლება, რადგან უფრო ადრეულ პერიოდებზე რომ აღარაფერი ითქვას, თვით შედარებით ვითომდა მონესრიგებულ საბჭოთა სახელმწიფოშიც კი აღნიშნული პარამეტრის მიხედვით ხალხის აღრიცხვა არ ხდებოდა. ამ მხრივ ამ უზარმაზარ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში ყველა ხალხი ერთნაირ მდგომარეობაში იყო. საქართველოში და მის მოსაზღვრე სივრცეში მდგომარეობა ამ თვალსაზრისით გასული საუკუნის ბოლოს შეიცვალა. ქვეყნის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2004 წელს გამოსცა საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები, სადაც ქართულ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხების რელიგიურ-კონფესიური სტრუქტურის დახასიათებაც არის მოცემული. კერძოდ, ირკვევა, რომ ჩვენში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (86,6%) ქრისტიანობის მიმდევარია, 9,9% მაჰმადიანობას აღიარებს, 0,1% იუდეველია, დანარჩენ კონფესიებს მიეკუთვნება მოსახლეობის 0,8%, ხოლო 0,6% არც ერთ რელიგიას არ აღიარებს.

საქართველოში მცხოვრებ ქრისტიანთაგან 83,9% მართლმადიდებელია, მათ შორის საკუთრივ ქართველთა ხვედრითი წილი 65%-ია, მუსლიმთა რაოდენობა 11%-ს აღწევს, რუსი მართლმადიდებლების რაოდენობა 10%-ია, სომეხი-გრიგორიანელები 8%-ს შეადგენენ...

2002 წლის აღწერის მიხედვით ქართველ ქრისტიანთა შორის 94% მართლმადიდებელია, 3,8% აღწევს ქართველ მუსლიმთა რაოდენობას, ხოლო 0,3% კათოლიკეა.

საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან და სხვა ერის წარმომადგენლობიდან ქრისტიანობას მისდევნ რუსები (უმეტესწილად მართლმადიდებლები, თუმცა არიან სექტანტიზმის დევლებიდან მალაკნები, დუხობორები, სტაროვერები, შედარებით ახალთაგან – ბაპტიზტები და იელიველები). სომხები მონოფიზიტი-გრიგორიანელები არიან, თუმცა გარკვეული ნაწილი კათოლიკობას მისდევს. ბერძნები უმეტესწილად მართლმადიდებლები არიან, აისორებში კათოლიკეები და ძველი ნესტორიანელების წარმომადგენლობა სჭარბობს. პოლონელები კათოლიკობას მიჰყვებიან, გერმანელები პროტესტანტ-ლუთერანობას, აზერბაიჯანელები შიიტი მუსლიმანები (მცირე ნაწილი – სუნიტები) არიან.

რაც შეეხება ოსეთსა და აფხაზეთს, ოსების აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, აფხაზთა შორის კი არიან მუსლიმობის მიმდევრებიც.

ალსანიშნავია, რომ ორივე ამ ხალხში ჩამოყალიბებულ რელიგიურ მსოფლმხედველობაში ძალიან ძლიერია მთის რეგიონებისათვის დამახასიათებელი წარმართობის ნიშნები და ტრადიციები. ეს მახასიათებლები, ბუნებრივია, გაცილებით ხელშეხსებდა ამკარად გამოკვეთილ სახეს ატარებდა მთელი შუა საუკუნეებისა და მასთან ახლოს მყოფი ეპოქების განმავლობაში.

სამხრეთ კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც დღეისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკა მდებარეობს, ძირითად კონფესიურ მიმართულებას წარმოადგენს ისლამი, რომელსაც აქ მოსახლე ხალხები მისდევნ. ამ ხალხის საერთო რაოდენობა დღეისათვის 8 მილიონამდეა. მათ შორის უმეტესობა აზერია, აზერბაიჯანელი (83%) და შიიტიზმის მიმდევარია, აქვე არიან სუნიზმის მიმდევრებიც, ბოლო დროს ქვეყნის ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებში (ლეზგები, ავარელები, ნახურები) გარკვეულ პოპულარობას აღწევს ვაჰაბიზმი.

საქართველოს სამხრეთიდან ემეზობლება მთიანეთში განფენილი ინდოევროპული ენობრივი ოჯახის წევრი ქვეყანა სომხეთი. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ესაა მონოეთნიკური ეროვნული შედგენილობის მქონე სახელმწიფო, სადაც 95%-ზე მეტი ეთნიკურად სომეხი ცხოვრობს. ამის გარდა მსოფლიოს 60 ქვეყანაში გაშლილ-გაფანტულია ძალიან დიდი და წარმომადგენლობითი დასაბორა.

სომეხთა აბსოლუტური უმრავლესობა (80%) მონოფიზიტი ქრისტიანია, ხოლო დასაბორის უდიდესი ნაწილი კათოლიციზმსა და პროტესტანტიზმს აღიარებს.

ეს რაც შეეხება ამიერ ანუ სამხრეთ კავკასიის რეგიონს. ახლა ვნახოთ რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ჩრდილოეთ კავკასიაში. აქ მცხოვრები ხალხები, მიუხედავად სხვადასხვა ეთნიკური მიკუთვნებულობისა, უმეტესწილად ისლამის (მისი სხვადასხვა ვარიანტის) მიმდევრები არიან. ამ მხრივ გამოიყვანის ოსები, რომლებიც ქრისტიანები არიან, თუმცა მათი ერთი ნაწილი მუსულმანური აღმსარებლობის მიმდევარია. აქვე არიან ე.წ. მთის ებრაელები (მათი ნაწილი სამხრეთ კავკასიაში ცხოვრობს). ისინი, როგორც წესი იუდაიზმს აღიარებენ. ჩრდილოეთ კავკასიაში, უფრო ზუსტად კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით, დაღესტნის მეზობლად ცხოვრობენ კალმუხები (ყალმუხები), რომლებიც ბუდიზმის მიმდევრები არიან.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კავკასიის რეგიონში მეტ-ნაკლები მასშტაბით გავრცელებულია დღეს მსოფლიოში ცნობილი რელიგიური სექტების მიერ დანერგილი იდეები, რომელთაც არც თუ მცირე რაოდენობის მიმდევრები ჰყავს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის რეგიონში გავრცელებულია მსოფლიოში ცნობილი ოთხივე კლასიკური (დიდი) რელიგია: ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი და იუდაიზმი. მათ გვერდით თანაარსებობის რეჟიმში მოქმედებენ სხვადასხვა ტიპის სექტები, რომელთაც სპეციალურ ლიტერატურაში „ახალ რელიგიურ მოძრაობებს“, „ტოტალიტარულ სექტებს“, „დენომინაციებს“ და სხვა მსგავს სახელებს უწოდებენ.

მოტანილი ფაქტოლოგიური მასალის ანალიტიკური თვალთა ალქმა და შეფასება ნათლად წარმოაჩენს, რომ, სადღესოდ, კავკასიის რეგიონის სივრცეში მცხოვრები ხალხები არა მარტო ერთი არ არიან ეთნონაციონალური შედგენილობის თვალსაზრისით, არამედ მკვეთრად განირჩევიან რელიგიური მიკუთვნებულობისა და განვითარების დონეების მიხედვითაც კი.

გარკვეულ სირთულეს ქმნის ის გარემოებაც, რომ დღეისათვის ბოლომდე ისიც არ არის ნათელი თუ რა გეოგრაფიულ სივრცეს ფარავს და მოიცავს თვით ცნება „კავკასია“.

ყველაზე პოპულარული და ზედაპირული განმარტებით კავკასია ორ ზღვას (შავ და კასპის) შორის გადაჭიმული დიდი კავკასიონის მთიან კალთებზე განფენილ ტერიტორიას ეწოდება. ამავ პოპულარული შეხედულების მიხედვით ჩრდილოეთით კავკასია მთავრდება იქ, სადაც იწყება რუსებით დასახლებული ჩრდილოეთის მიწები – კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები.

კავკასიის დასავლეთ საზღვარი თურქული, ქართული და სომხური მოსახლეობით გაჯერებული ტერიტორიული მონაკვეთია. რაც შეეხება კავკასიის სამხრეთ საზღვარს, აქ პოლიტიკური საზღვრის როლს მდინარე არაქსი ასრულებს. რაც შეეხება ეთნიკურ შედგენილობას, მდინარის ორსავე ნაპირზე დღეს იქ აზერბაიჯანელი თურქები ცხოვრობენ. თუ საკითხს ისტორიული თვალსაზრისით მივუდგებით კავკასიის რეგიონალური სივრცე მისი ყველა მიმართულებით გაცილებით დიდი იყო (დღეს იგი 400,000 კვ.კმ-ს ფარავს და 20 მილიონ მოსახლეობას იტევს).

ისტორიულად კავკასიის ხალხთა და სახელმწიფოთა, ასევე ადმინისტრაციული ერთეულებისათვის განსახლების არეალად მიჩნეული ტერიტორიები გაცილებით შორს ვრცელდებოდა. სამსუხარობი, ჩრდილოეთ კავკასიაში ამგვარ რეალობას საზღვარი ჯერ მეფის რუსეთმა დაუდო, მერე კი პროცესი საბჭოთა კავშირმა გააგრძელა. მათ ჯერ საკმაოდ წამოსწიეს რუსული სახელმწიფოს საზღვრები, მერე კი ადგილობრივი, დარჩე-

ნილი მოსახლეობა მაქსიმალურად „განაზავეს“ სლავური წარმოშობის ხალხებით.

ამგვარმა მიდგომამ სხვა რეალობა წარმოშვა. ამიტომაც მეცნიერთა შორის გაჩნდა მოსაზრება, რომ სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეები, ასევე როსტოვის ოლქი უნდა განვიხილოთ, როგორც კავკასიის მთისწინეთი (Предкавказье) თავისი სტეპური გეოგრაფიით და ეთნოსტრუქტურით. სხვათა აზრით კავკასიის რეგიონის ამგვარი განვრცობა სწორი არ იქნება, რადგან, მართალია, ეს რეგიონები რაღაცა ნიშნებით რუსეთსაც გვანან და მთელ მოსახლეობასაც, მაგრამ უკეთესი იქნება თუ გარდამავალ რეგიონებად მოვიხსენიებთ.

საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს მკვლევართა სხვა ჯგუფი, რომელთა აზრითაც კავკასია ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიკური სივრცის თვალსაზრისით მარტო ქედს გადალმა არსებული ავტონომიები და მის გადმოლმა ჩამოყალიბებული სამი სახელმწიფო კი არ არის, არამედ მას მიეკუთვნება ირანის ჩრდილო-დასავლეთი ოლქები – სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასია და თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი არსებული ისეთი ტერიტორიული ერთეულები, როგორცაა ყარსი, არდაგანი, ართვინი და სხვ.

ბუნებრივია ასეთ თვალსაზრისს აქვს არსებობის უფლება, რადგან კავკასიის სიღრმეში რუსეთის ღრმა შემოჭრის ეპოქამდე აღნიშნული ოლქები და ტერიტორიები, მართლაც ერთიან ეკონომიკურ თუ კულტურულ მთლიანობას ქმნიდნენ. ეს კარგად ჩანს თუნდაც საქართველოს მაგალითზე, რომლის უზარმაზარი ტერიტორიები დღეს თურქეთის საზღვრებშია მოქცეული, თუმცა კულტურულ ერთობას ქართული რეალობასთან მაინც ინარჩუნებს. დღევანდელი რეალობა კი, როგორც არ უნდა ითქვას ასეთია: კავკასიის სივრცე გადანაწილებულია სამხრეთით სამი სახელმწიფოს (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი), ჩრდილოეთით კი რუსეთის საზღვრებში. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება: ადღე, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილო ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი და დაღესტანი.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ადმინისტრაციული ერთეულები: აფხაზეთი და ოსეთი ეთნიკურად ჩრდილოეთის ნათესავეები არიან.

ფაქტია, რომ აღნიშნულ ტომობრივ, ტერიტორიულ და სახელმწიფო წარმონაქმნებს შორის მთელი შუა და მომდევნო საუკუნეების მანძილზე არსებობდა როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური, სამხედრო და სამართლებრივი ურთიერთობები. იყო დაპირისპირებები, ომები, სიმდიდრისა და გავლენის მოპოვებისათვის მიზანშეწონილად მიჩნეული ქმედებები და, რაღა თქმა უნდა, კულტურული კავშირები.

მთელი ამ ხნის მანძილზე კავკასიის გაერთიანება ვერ მოხერხდა, მანამ, სანამ რუსეთმა არ დაიწყო სამხრეთის მიმართულებით სწრაფი სვლა. ამ პროცესში რუსულმა პოლიტიკამ მოშალა ისტორიული და კულტურული განვითარების შუა საუკუნეებიდან მომდინარე ღრძის ხაზი, დაანგრიო არსებული ცხოვრების წესი, ბევრგან გაანადგურა უნიკალური ადგილობრივი კულტურა და, რაც მთავარია, ცხოვრების მონყობა დაიწყო რუსული ყოფისათვის დამახასიათებელი ნორმების დანერგვით.

მიუხედავად ამგვარი რეალობისა, კავკასიის რეგიონი მთელი შემდგომი პერიოდის მანძილზე ინარჩუნებდა და ინარჩუნებს „მრავალფეროვანი ერთიანობის“ სახეს.

მკითხველს ვთხოვთ ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ჩვენი გაზეთის წინამდებარე ნომერს მკვეთრად გამოკვეთილი სამეცნიერო ხასიათი, ფორმა და შინაარსი გამოარჩევს. ეს მიზანმიმართულად გაკეთდა.

გვინდა იმ აღამიანებს, რომლებიც საკმაოდ ადებულად უყურებენ ქართულ ქორეოკულტურას ვაჩვენოთ, რომ ეს სულაც არ გახლავთ „მსუბუქი ჟანრის“ სფერო. სამსუხარობდ, ისე მოხდა, რომ ქორეოგრაფიული ხელოვნება ჩვენში არ იმსახურებდა იმ ყურადღებას, რომელიც მას ეკუთვნის. ის მხოლოდ სასცენოდ თვალსაყრდენი რეალობა არ არის, მასში ისეთივე პლასტიკობა ქართული სულისა, როგორც სხვაგან...

# მსკვირვალნი აჭარული სეკვების კვლევები



ამ ახლო წლებში, საკუთრივ, 2008 წლის სექტემბერში, აჭარული ცეკვების საგანგებოდ შესწავლისათვის სპეციალური საექსპედიციო ჯგუფი შეიქმნა. ეს მეტად სასიკეთო საქმე ითავა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა. საექსპედიციო ჯგუფს (რეზო ჭანიშვილი, ზაურ ლაზიშვილი, მირანდა ბაღდადიშვილი, გიორგი უშიკიშვილი) ხელმძღვანელობდა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი უჩა დვალისხილი. როგორც წესი, დამუშავდა პროგრამა, რომელშიც აისახა აჭარის ბარისა და მთიანეთის საცეკვაო მონაპოვრების კვლევა-ძიებანი. შედგა ქორეოგრაფიული რუკა, დაფიქსირდა ცალკეული რაიონებისა და სოფლების დასახელება, სადაც თავს ინარჩუნებდა აჭარის ხალხური ცეკვების ნაირსახეობანი.

ამ საპასუხისმგებლო გადნევილებას დადებითად გამოეხმაურნენ აჭარის საკანონმდებლო ორგანოს, განათლების, კულტურისა და სპორტული სფეროს ოფიციალური პირები. ცალკეული მუნიციპალიტეტების და სოფლების, კულტურისა და ხელოვნების ხელმძღვანელები, ნაცადი მუშაკები.

ასე რომ, 2008 წლის 10 სექტემბრიდან მზებანე გზა მიეცა საექსპედიციო მოგზაურობებს.

მეტად საქმიანი საუბარი გაიმართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. ექსპედიციის წევრებმა მკაფიოდ დაახასიათეს ქობულეთური საცეკვაო შემოქმედების ნიმუშები. ითქვა, რომ აუცილებლობა თაობებს შემოვუნახოთ აჭარული ხალხური საცეკვაო ნიმუშები. ყურადღება გამახვილდა ქობულეთური „ხორუმის“, „გადახვეული ხორუმის“, „ჩამორებულია“ და საგანდაგანო სახეობათა აღნუსხვის თაობაზე.

პირველი საცოდნელი სანახაობა სოფელ ქაქუთში ვიხილეთ. კულტურის სახლის ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა (ცეკვის დამდგმელი – ხარლამპი ახვლედიანი) მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე გაიტანა ლაზური „მებაღურული“ ანუ ლაზური მეთევზეობის ცეკვა. იმავდროულად გვიჩვენა სალუქვაძის „კალმახურიცა“ დაგვიჩვენეს. ორივე ცეკვა სიმღერასთან ერთად შესრულდა. სატრფიალო „განდაგანაც“ გვანახეს, რომელიც მონდომებით შესრულეს ხალისიანმა ქალ-ვაჟებმა. მოსაწონია, რომ ხალხურობის თვითმყოფლობა არ იკარგება ქაქუთში. იქაური ხელოვნების მოყვარულნი არ იყვნენ სახალხო დღესასწაულს „ქაქუთობას“, სადაც თავს ინარჩუნებს ხალხური შემოქმედების მთელი რიგი სახეობანი. დოლისა და გარმონის დამკვრელებმა, მეჩონგურებმა მოგვასმენინეს „ხორუმის“ ადრინდელი მულოდები, დოლის რიტმები.

სოფელ ქობულეთში ცეცხლაურელთა და ალამბრელთა ხალხურ საცეკვაო შემსრულებლობას გავეცანით. ცეცხლაურელმა ვანო, დავით და მალხაზ ბათნიძეებმა შესრულეს მალამბითიან ხინაძირში ავიცხეული „ხორუმი“, რომელსაც ქობულეთურ საცეკვაო ასპარეზზეც შეუნარჩუნეს ტრადიციული სახე. ცეკვის თითოეული ეპიზოდის ილეთ-მოდრაობათა სახელებიც არ დაუკარგავთ. დაგვისახელეს „შეპარვა“, „ცალტევა“, „ორტევა“, „გვერდულია“ აკვრა.

ყოველივე ისინი თაობათა მონათნაია, მამაპაპური სისხლის დუღილის დასტური და ოჯახური შემოქმედების ტრადიციაა. გამართლდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის პასუხისმგებელი მუშაკის მამია ქათამაძის (ექსპედიციის მეგზური – ზ.ლ.) მონათხრობი, რომ ალამბრელი ძმების ჯემალ და ახმედ ბაუყაძეების (უფროსი ძმა გარდაცვლილია) და შედარებით ახალგაზრდა ავთო მუჟანაძის საცეკვაო სიძველენი ფერნაუვალა. მოხუცმა ბაუყაძეებმა და მათგან შერჩეულმა ახალგაზრდამ „ხორუმის“ მეტყველი სვლები, ტანსხულის მიქცევა-მოქცევა და შთამაგონებელი ჩაკვრა-ბუქენები მკაფიო სიზუსტით შესარულეს.

განსაკუთრებით მიმზიდველია ბაუყაძეთა „გადახვეული ხორუმი“, ადრეულ ხანებში მათ უკრავდა ნიჭიერი მეზურნე. ამჯერად, გარემოებათა გამო, ზურნის მელოდიას თვითონ ახმოვანებდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ.

ალანბრელია, რომ ალამბრელ მოხუცთა „გადახვეული“ აჩქარებულია. მოკლე მიდგმა-ამოკვრები სრულდება, თვალს ვერ მოვაშორებთ ქვედა კიდურების ჩახვევ-ამოხვევებს. ტერმინები, ილეთ-მოდრაობების სახელებიც ჩამოგვისახელეს. შეუძლებელია დავინყებავს მიეცეს „ხორუმისა“ და „გადახვეულის“ საცეკვაო ელემენტების სახელები: „გადადები“, „ბასმა“, „მოტყვილები“ და სხვა თამამ-მოქცევების სახელები.

ქობულეთური ცეკვის სტილი, ბუნება-ხასიათი დამაჯერებლად გამოკვეთილი ანსამბლ „ქობულეთის“ ხელოვნებაში. ქორეოგრაფი თემურ თხილაიშვილი ყოველთვის იმის ცდაშია, რომ სიმღერასთან ერთად წარმოაჩინოს სატრფიალო „განდაგანა“, „ხორუმი“ და „ჩამოსარები“. მაძიებელი ქორეოგრაფი კარგად იცნობს ცალკეული ცეკვის წარმოშობისა და განვითარების თავისებურებებს. თამამად ვიტყვი, რომ „ქობულეთის“ საგანდაგანო კონფიგურაცია მრავალმთქმელია.

ეს ცეკვა საექსპედიციო მონაპოვრად მივიჩნიეთ. ჩვენს ინტერესებში მოექცა დამდგმელ-ქორეოგრაფის მუშაობის სტილი. თემურ თხილაიშვილი თვლის, რომ ხალხური საცეკვაო მოტივების გვერდის ავლით მიზანი არ მიიღწევა. სწორადაც ამბობს, რომ „განდაგანა“ სატრფიალო თემაზე დამუშავებული ქორეოგრაფიული ნაწარმოებია. მასში სახასიათო ნაწილებსაც უკავიათ გარკვეული უპირატესობა, რაც ავთენტური ნიშნის მქონე საცეკვაო ლექსიკით გადმოიქცემა. ამის ნათელი მაგალითია, ნამდვილი სახალხო მოცეკვავეების ომარ და თემურ ვასაძეების სცენური ოსტატობის, იმპროვიზაციის თვალდასატანებელი შესაძლებლობანი.

რამდენიმე ათეული წელია სხივისნობს ვასაძეების ოჯახის ხატოვანი შემოქმედება. მათი ყოველი გამოსვლა მეტად შთამბეჭდავია. მიიჩნევენ, რომ აჭარული „მხარულ-განდაგანის“ სასიკეთო ცვლილებების საფუძველი ფესვებთან, ხალხურობასთან უტყუარი სიახლოვეა. დახვ, ხალხური ცეკვების ფესვები ხალხის საუკუნოებრივი ცხოვრების ნიაღშია, რადგან დიდი ილიასი არ იყო „ცხოვრება მინც იმამთა, იქა ჰდულს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა“ (ილია ჭავჭავაძე, ოთარანთ ქვრივი, გვ. 257, ტ. 2. თბ. 1987 წ.).

2008 წლის 14 სექტემბერს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩხუტუნეთს ვენვიეთ. კლუბთან ხელოვნების სპეციალისტები, პედაგოგები, სოფლის მცხოვრებლები დაგვხვდნენ. ღია ცის ქვეშ ხანდაზმულებთან გულანის სჯა-ბაასი გავმართეთ. მოხუცებმა გახანდურითა და სიმღერით „ხორუმითაც“ გავგახალისეს. 86 წლის ხუსეინ ქობულაძემ „ფათიკო“ იცეკვა (ქობულეთში ამბობენ „ფადიკო“). ეს საცეკვაო სანახაობა ბერიკაობის ნიშნით ხასიათდება და ჩვეულებრივ, რამდენიმე პირი ასრულებს. მხედველობაში გვაქვს ქობულეთური „ფადიკო“. მასში ექვსი ვაჟი და ერთი ქალი მონაწილეობდა. უფრო მეტად იგი ქორწილში სრულდებოდა და სამხიარულო განწყობილებას ქმნიდა.

თეატრმცოდნე დიმიტრი ჯანელიძე „ფადიკოს“ სვანურ „მურყვამობასთან“ აიგივებს. წერს კიდევაც: „სატრფიალო სცენის წარმოდგენა და ქალის დაუფლებითვის ორ პერსონაჟს შორის ბრძოლა „მურყვამობას“ და „ფადიკოს“ ერთნაირად ახასიათებთ. ეს კი იმის დამამტკიცებელი უნდა იყოს, რომ „ფადიკო“ შეიღებულა მფარველი ღვთაების სადიდებელი მისტერიის ნაშთია“ (დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, გვ. 110, თბ. 1948 წ.).

ჩხუტუნეთელთა „ფათიკოში“ კი ცეკვა-სანახაობის მხოლოდ ერთი ნაწილია გამოცალკეებული, რომელიც ინდივიდუალური სახით შემოუნახავთ სოფელში. ერთი მამაკაცი ადგილზე ცეკვავს, ზოგჯერ ქალურ

ხელსართავსაც ასრულებს, რაც კარგად გამოუდის ხუსეინ ქობულაძეს.

ჩხუტუნეთში ადრეულ წლებში სცოდნიათ „მილეთ-ხორუმი“ (სახალხო, საქვეყნო ხორუმი – ზ.ლ.). იგი შაირებით სრულდებოდა, მხოლოდ მამაკაცები ცეკვავდნენ სიმღერასთან ერთად. ასეთი ანალოგი გურიაში, საკუთრივ, ჩოხატაურის გარკვეულ სოფლებში იყო, რასაც გვისახულებს ეთნოგრაფი იონა მეუნარგია.

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში კი ჩხუტუნეთელები ცეკვავდნენ „შამილს“, „ლეკურს“, „ფხაზურსაც“.

დიალექტური განსხვავებულობით გვაცნობს თავს ქედის რაიონის სოფელ ცხმორისის „ხორუმი“ და „გადახვეული ხორუმი“. წლების გზა-სავალზე ამ ცეკვებს ამუშავებდა და სოფლის ახალგაზრდობას ასწავლიდა ხუსეინ ანანიძე. „ხორუმის“ შემსრულებელი, 74 წლის მეგლუდ ბერიძე გულითადად იგონებს ხუსეინ ანანიძის თავბაშობას. თავბაში ერქვა ცეკვის მოთავეს. ამჯერად „ხორუმის“ თავბაშობა ითავა მეგლუდ ბერიძემ. მასთან ერთად ცეკვავდნენ იზეთ ირემაძე და მურად ბოლქვაძე. ამ სამი „მეხორუმეს“ საცეკვაო მოედანს წარმოადგენდა მდინარე აჭარისწყლის მეორე ნაპირთან დაკავებული ხასხასა მინდორი. იქეთ მხარეს გადასვლა საძნელო არ იყო. ისტორიულმა თამარის ხიდმა საუკუნოებრივი გამძლეობით გაგვათამამა. ეგ-ზოტიკური გარემო მეტ ელფერს ჰმატებდა ჭარმაგ მოცეკვავეებს. ჭიბონის მელოდი-აზე ასახიერებდნენ უშიშვითა ცხმორისულ „ხორუმსა“ და „გადახვეულს“. ერთმანეთში შეზავებული „საცეკვაოების“ დამამთავრებელ ნაწილს „გაქცევისა“ უწოდებენ. ეს ილეთ-მოდრაობა „ხტომგასმურას“ მსგავსია.

საინტერესოა, რომ ცხმორისული „ხორუმისთვის“ ხალხს „ანანური“ დაურქმევია, რაც ხალხური ცეკვის ბერძენულს ხუსეინ ანანიძის სახელის პატივგებაა. გარდა ამ ტერმინისა ცხმორისელთა ჩამონათვალშია „შესვენება“, „მოტყვილება“, „ბასმა“, „მოტყევა“, „ჩახვეული“ და, რა თქმა უნდა, „გაქცევისა“.

ცხმორისის გარდა ქედის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებიც მოვიხსნათ. მეგ-ზურობას ქედის კულტურის ცენტრის დირექტორი შორენა კარანაძე გვინედა. მისი მეშვეობით სოფელ არქენაძეებში სათიე არქენაძეს გავეცანით. იგი ხალხური მთქმელობით, ცეკვითა და სიმღერით გამოირჩეოდა. სამოცდაშვიდი წლის სათიე არქენაძემ მისთვის ჩვეული მიხვრა-მოხვრით, ხელების შემობრუნება-გათამამებით წარმოაჩინა მატყლის ჩეჩვა, დართვა-დაძახვის ეპიზოდები და ძაფით ქსოვის პროცესი. ყოველივე იგი მშობლებისგან უსწავლია.

გარდა ამისა, შეუთვანებია „ხორუმი“, „ყოლსამა“ და „ლეკური“. გვაცოდინა, რომ ხალხი ქორწილს ძველად სეირს ეძახდა, სადაც ხშირად უნედა ცეკვა-სიმღერის შესრულება, შაირობაშიც ებმებოდა. საგანგებოდ დავიმახსოვრეთ მისი გამღერებული სიტყვები: „თეთრი ცხვარი ავიყვანე, ახალგაზრდის ძღვენია, სამაც მიყვარს, სეირიც მიყვარს, მოვხუცდი და მრცხენია“. ამ სახალისო გამღერებას ქალური ცეკვაც მიაყოლა. იგი „თარანისოხურს“ უფრო ჰგავდა.

...ქედის რაიონის სოფელ კოკოტაურში 76 წლის ხასან ბერიძეს ვეახელეთ. ენაწყლიანმა მოხუცმა ტრადიციულ გართობებსა და ცეკვა-სიმღერებზე მოგვითხრო. შეთანხმებისამებრ 46 წლის თემურ არქენაძემ ჭიბონი აახმინა. ხასან ბერიძემ უმაღვე წრეს ჩამოუბარა, მერე კი ცალი ხელი მოხარა და მეორე ხელთან ერთად მატყლის ჩეჩვის მოძრაობანი წამოიწყო. აზრის მქონე ყველა მოქმედებას გვერდზე და წრიულად მიდგმით სვლებით წარმოსახავდა. ერთ-ერთ ეპიზოდში მატყლისგან ძაფის რთვა დაიწყო. თანდათან ააჩქარა ტანსხულისა და ხელების მოძრაობანი.

ცნობილია, რომ ცეკვაძეეულ ჩეჩვასა და ძაფის გამოყვანაში ძირითადად ქალები მონაწილეობენ, მაგრამ ჩანს, რომ მამაკაცების ცეკვით წარმოიჩინეთ. გადაიცვამდნენ ქალურად და გულდაგულ გამოსახავდნენ ჩეჩვის, რთვის და დაძახვის საცეკვაო ეპიზოდებს.

ასე რომ, აჭარაში შრომის ამსახველი არაერთგვაროვანი ცეკვები შეუქმნია ხალხს. ხალხმა თამბაქოს ცეკვა (ცეკვითაც წარმოაჩინა. მეოცე საუკუნის სამოციან წლებშიც გვინახავს ცეკვა „თამბაქოს კრეფა“.

არსებობენ უტყუარი ცნობები, რომ უძველეს კოლხეთში სცოდნიათ სელისგან თოკის გამოყვანა და საქსოვი ძაფის დამუშავება. სწორედ სელის ძაფისგან ქსოვდნენ ლაზები სათევზაო ბადეს.

საქები სიტყვები გვეთქმის ქედის კულტურის ცენტრის ანსამბლზე. საინტერესოა მათი „მხარულ-განდაგანა“. მასში ახალგაზრდობის ნამდვილი გულგოვანება ჩქეფს. ხანდაზმულთაგან ხალხური ჩაკვრა-გასმეობითა და გან-გან თამამ-ბრუნებით ცეკვას სილაზათეს ანიჭებენ ქიბარ ვერძაძე, იზეთ ირემაძე და მურად ბოლქვაძე, რომელთაც სათუთად შემოუნახავთ მამაპაპური შეხტომილი, მუხლტევა და სხვა მოძრაობები.

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი მერისი ზღვის დონიდან 700 მეტრზეა შეფენილი. მეოცე საუკუნის სამოციან წლებამდე მერისელები თურმე ორსართულა „ხორუმსაც“ ასრულებდნენ. ასევე იცოდნენ „ბაღდადური“, „ლეკური“ და „ალირიც“ (თავმომწონე კაცის ცეკვა – ზ. ლ.). ყველა ისინი კარგა ხანია დავინყებულა. ჩვენ მხოლოდ ოთხმოცი წლის მოხუცების მიხილ დიასამიდის და მესხუდ თურმანიძის „მხარულ-ყოლსამას“ ჩანერა მოვახერხეთ.

გულსატყენია, რომ ხალხური მონაპოვრების შენარჩუნებისათვის ზოგან გამოხატული უგულობა, მემკვიდრეობითობას ნიადაგი ეცლება. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ სახალხო დღესასწაულებზე ცეკვა-სიმღერას მარტოოდენ თვითმოქმედი და პროფესიონალური კოლექტივები ასრულებენ, ხალხი კი მსმენელად, ჩვეულებრივ მაყურებლად იქცა.

მეოცე საუკუნის 80-იან წლებში ასეთ ვითარებაზე დიდ სინანულს გამოთქვამდა ხალხური შემოქმედების მოჭირნახულე ნიკო კეცხოველი. დიდი მამულიშვილი სამართლიანად შეგვახსენებს ყველას: „სიმღერა და ცეკვა, ხალხური სიტყვიერება... ერის შემოქმედების შედგენილია და მისი სულის ნაწილი. ამიტომ უნდა მას გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა. კარგია თეატრიც, კულტურის სახლიც, მაგრამ ხალხი თვითონ უნდა მღეროდეს... თვითონ უნდა ცეკვავდეს, როდესაც ამისთვის გული მიუწევს“ (ნ. კეცხოველი – „კლდის ფხაზე თეთრი ყვავილი“, ლიტერატურული საქართველო, 1981 წ., 7 თებერვალი).

შუახვეის ხალხურ საცეკვაო შემოქმედებას ყოველთვის გააჩნდა თავისი დიალექტური ხელწერა. ამ რაიონის თავკაცებმა ეროვნულობის ინტერესებში მოაქციეს „სიმღერელთა“ სიცოცხლისუნარიანობა. კულტურის ცენტრთან შეიქმნა ხანდაზმულ მამაკაცთა საცეკვაო ჯგუფი (ხელმძღვანელი – ბადრი დარჩიძე), რომელთა შორის იმხანად 83 წლის მუჟამედ ართმელაძე მონაწილეობდა. ამ იუმორით სავსე კაცმა უჩვეულო სიხადით გამოხატა ქართული ვაზის მოფერების უხილავი სცენა. იქვე თითქოსდა ხელებში მოქცეული საცრის გათამამებაც დაგვისურათა.

უდაოა, რომ უტყუარია „მხარულ-განდაგანის“ მიმზიდველობა. მუხამედ ართმელაძესთან ერთად ზემოთ აღნიშნულ ცეკვას სხვა ხანდაზმულებიც ცეკვავდნენ. ასეთები იყვნენ: ტარიელ მაკარაძე, დავით თავდგირიძე, მიხილ ქამადაძე, ოთარ ჭალაიძე, ვიტორ ფუტკარაძე, რევაზ მუჟანაძე და სხვები. მოსაწონია, რომ ცეკვა სიმღერასთან ერთად წარმოაჩინეს. სიმღერას კი „ჰიდაი, ნანო“ ჰქვია, რაც ნიშნავს საიდან მოიმღერო.

სოფელ ხაბელაშვილებში ინკირვეთელ გოგონათა სიმღერა მოვისმინეთ, ხალხური ცეკვითაც დაგვინტერესეს, რიტმულად გაიცეკვეს ხალხური „თარანისოს“ ცალკეული ფრაგმენტები.

**ზაურ ლაზიშვილი,**  
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ქორეოგრაფიის რაინდი, ღირსების ორდენის კავალერი

# ფერული, როგორც უნივერსალური სარიტუალო სიკვანძე

უძველეს რელიგიებში ცეკვას ერთ-ერთი მთავარი ადგილი ჰქონდა დათმობილი, რადგან მისი მემკვიდრეობით მიიღწეოდა ღვთაებრივი, ამაღლებული, ექსტაზური მდგომარეობა. ბიბლიაში დავით მეფის „როკვა“ ასეთი დრამატიზმით არის აღწერილი:

„...13. უფლის კიდობნის გადატანისას, ყოველ ექვს ნაბიჯზე, თითო ხარსა და ნაპატივებ ვერძს სწორავდა მსხვერპლად.

14. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, როკავდა დავითი უფლის წინაშე; სელის ეფოდი ემოსა დავითს.

15. ყიფინითა და ბუკის ცემით მიჰქონდათ უფლის კიდობანი დავითსა და ისრაელის მთელ ხალხს.

16. როცა უფლის კიდობანი შევიდა დავითის ქალაქში, სარკმლიდან გადმოხედა საულის ასულმა მელქოლამ, დაინახა უფლის წინაშე მოხტუნავე და მროკველი დავითი და დასცინა მას თავის გულში.

17. მიიტანეს უფლის კიდობანი და დაასვენეს თავის ადგილზე კარავში, რომელიც გამოიღო ჰქონდა მისთვის დავითს. მერე აღსაყვანი და სამადლობელი მსხვერპლი შესწირა დავითმა უფალს.

18. როცა მორჩა აღსაყვანი და სამადლობელი მსხვერპლის შეწირვას, ცაბაოთ უფლის სახელით დალოცა ერი.

19. ჩამოურიგა მთელ ერს, ისრაელის მთელს კრებულს, კაცსა და დედაკაცს, თითო პურის კვერი, თითო ხორცის ნილობი და თითო ქადა. მერე თავ-თავის სახლებში წავიდა ხალხი.

20. როცა დაბრუნდა დავითი თავისი სახლის დასალოცად, გამოეგება მელქოლა, საულის ასული, დავითს და უთხრა: როგორ განდიდდა დღეს ისრაელის მეფე, რომ გაეშვივებოდა დღეს თავის მორჩილთა და მხევალთა თვალწინ, როგორც მიშვლდება ხოლმე ქარაფშუტა ვინმე.

21. მიუგო დავითმა მელქოლას: უფლის წინაშე, რომელმაც მამკობინა მამაშენს და მთელს მის სახლს, როცა დამადგინა უფლის ერის, ისრაელის წინამძღოლად, უფლის წინაშე სიხარულით ვიროკებ“ (1, თ. 6-7, გვ. 13-21).

ამ ეპიზოდში არა მარტო მეფე დავითი „როკავდა“, არამედ – მისი მრავალრიცხოვანი თანმხლები ერი. დავით მეფეს, ბიბლიის უსაყვარლეს მბრძანებელს და აღმატებულად მიჩნეულს, როკვა (ცეკვა) ღვთის საამო საქმედ მიაჩნდა. იგი არ თავილობდა, მხევალთა და მდაბიოთა შორის გამოჩენილიყო და ეცეკვა მათთან ერთად.

ამ ამბავს მეფის ცხოვრებაში მცირედდენი დრამატიზმი მომენტით შეუტანია. წინამორბედი მეფის – საულის ასულ მელქოლას არ მოსწონებია თავისი ქმრის, მეფე დავითის, ამგვარი ქცევა და გაუკაცნავს. ამიერიდან მათ ცოლქმრობას მტკიცე საყრდენი გამოცლია; ბიბლია გვამცნობს, რომ მელქოლას სიკვდილამდე შვილი არ ჰყოლია.

ცეკვას მუსიკასთან ერთად ამაღლებული განწყობის შექმნა შეეძლო ტაძრებში მრავალრიცხოვანი მსახურების გარეშეც. სრულიად ლოკალურ გარემოშიც ცეკვას ისეთივე „ღვთის საამო“ განწყობა შეჰქონდა, როგორც ბიბლიაში აღწერილია. გიორგი გურჯიყვის წიგნში მოთხრობილია საგულისხმო ამბავი იმის თაობაზე, თუ როგორ და რა გარემოში ეუფლებოდნენ გოგონები რიტუალურ ცეკვას ჰიმნალის მთებში არსებულ მონასტერში.

„სარმენგთა საძმოს“ კუთვნილ ტაძარში გოგონები მთლიანად მოწყვეტილი იყვნენ გარესამყაროს, ნათესავებს, ყოველდღიურ საზრუნავს და მთლიანად ეძლეოდნენ განანესით ნაკარნახევ ყოფას. გოგონები წლების მანძილზე სწავლობდნენ „საღვთო ცეკვას“ და „საღვთო მუსიკას“. დიდი ხნის ვარჯიშის შემდგომ, დახელოვნებულნი, გასაოცარ ეფექტს აღწევდნენ. მეცნიერი ერთმანეთს უდარებს მონასტრის მოცეკვავეთა და ევროპულ პროფესიონალებს ცეკვებს და აღნიშნავს, რომ მონასტრის ქურუმ ქალთა ცეკვის მსგავსი ხელოვნება მას არასოდეს უნახავს. მთებში არსებული მონასტრები დღემდე ინახავენ ტრადიციებს.

მოცეკვავეთა ფიგურების გამოსახვა სამსხვერპლო დანიშნულების სხვადასხ-

ვა საგანზე ბუნებრივია ხელოვნებისათვის. ეტრუსკების კანონებზე იშვიათი ხელოვნებით გამოსახულია რიტუალური სცენები. „მსოფლიო ხელოვნების ძეგლებში“ მოთავსებული ურნის მორთულობა გამოსახავს მოცეკვავე ადამიანებს, ისინი სამარხში ბუნებრივად ერწყმიან სხვადასხვა გამოსახულებებიან საგნებს და ნათელ სურათს ქმნიან ძველი სამყაროს კულტურისა და ხელოვნების შესაცნობად. ცეკვის სცენაზე იმითომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ასეთი რეალისტური და ყოველდღიური სცენების არსებობა განსაკუთრებულ ხიბლს ჰმატებს ძველი მსოფლიოს ხელოვნების ძეგლებს.

ჩვენი რეგიონის არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის უდიდესი პოპულარობით სარგებლობს თრიალეთში აღმოჩენილი საკულტო ნივთები. დღემდე არ ცხრება ინტერესი თრიალეთში ნაპოვნი ვერცხლის თასისა და სარტყლის მიმართ.

ხელოვნების ნიმუშია ვერცხლის თასი, რომელზეც გამოხატულია ცხოველთა ნიღბებით შემკული მასობრივი მსვლელობა. შ. ამირანაშვილი „ქართული ხელოვნების ისტორიაში“ წერს: „ღვთაების ცენტრალურ ფიგურას უახლოვდება ოცდაორი არსებისაგან შემდგარი პროცესია ცხოველის თავებით და გრძელი კუდებით, რომელთაც თითო მორგოდ სასმისი უჭირავთ მარჯვენა ხელში. ისინი ლამაზ ფრიზს ქმნიან, რომელიც მოცემულია თანაბარბრუნის პრინციპით. პოზების ერთგვარობა კომპოზიციას საზეიმო სახეს და მონუმენტურობას აძლევს, რაც მოგვაგონებს კლდეზე გამოსახულ რელიეფებს. მიმავალი ფიგურების ტანისამოსი ტახტზე მჯდარის სამოსელს ჰგავს. ფეხსაცმელები აგრეთვე ხეთური ტიპისაა“. მეცნიერი ამ თასზე გამოსახულ სცენას ღვთაებისადმი მსხვერპლშენივრის რიტუალს მიაკუთვნებს. მისი აზრით, ნიღბოსნები საგანგებოდ არიან ასეთ პოპაში გამოსახულნი. ნიღბა მისტიკის აუცილებელ კომპონენტად ითვლება.

ქართულ სინამდვილეში ნიღბების არსებობა დადასტურებულია ბერიკაობა-ყენობის წარმოდგენებში. ალბათ, სახალხო დღესასწაულებმა ნიღბის ტარების ტრადიცია გადმოიღო უფრო მაღალი რანგის საკულტო რიტუალებიდან და თავისებურად მოიერო და შეიფერა კიდეც.

კავკასიის ტერიტორიაზე ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის მონაპოვრები მაიკოპსა და თრიალეთში თვალნათლივ გვიდასტურებს აქ მცხოვრები ხალხების მაღალ განვითარებას და ხელოვნების უაღრესად დახვეწილ დონეს, საიდანაც ცხადი ხდება ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები, ჩაცმის კულტურა, ეროვნული კუთვნილებანი, გართობა-სახალხო სანახაობების იდენტურობა და ა.შ. საერთოა ნაყოფიერების კულტის ფართო გავრცელება, რწმენა სიცოცხლის ხისადმი. ქ. ამირანაშვილს საყოველთაოდ უსაკნა აქვს ამოცმული ამ ვერცხლის თასზე: „დასად აღინიშნოს, რომ მ. შახერმეიერმა გამოავლინა, ეტრუსკების ღვთაება ტელეფინის კულტი მომდინარეობს აღმოსავლეთიდან. ამ ღვთაების ეტრუსკული სახელწოდება „ტელეფას“ საგნებით ემთხვევა სვანურ „ტელეფას“. ამრიგად, თრიალეთის თასის ზედა ფრიზის სიუჟეტის გამოცნობა სიძველეს არ წარმოადგენს. თასზე გამოსახულია საზეიმო მისტიკია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ქურუმები ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებული ტოტემური ცხოველის ატრიბუტებით და მათ ხელში უჭირათ „სიცოცხლის“ და „უკვდავების“ წყლით სავსე თასები“.

სვანეთში თითქმის პირვანდელი სახითაა შემორჩენილი წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენები და მეღია-ტელეფიას შემთხვევაც ამას ადასტურებს. დღესასწაულები აქ არქაულ იერს ატარებს და ადასტურებს მ. ელიადეს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დღესასწაულების დროს ჩატარებული რიტუალების მეშვეობით ადამიანს შეუძლია გადალახოს ჩვეულებრივი დროის მდინარე და მითოლოგიურ დროში, საკრალურ ხანაში აღმოჩნდეს. ამიტომაც საკრალური დრო განმეორებადია, მასში ცოცხლებია ის ფაქტები, რომლებიც მითოსურ წარსულში მოხდა (მ. ხიდაშელი).

ჩვენ ამ ლოგიკით შეგვიძლია თვალი გავაღწიოთ ნებისმიერ რიტუალს, რომელიც დღესასწაულისას სრულდება და აღვადგინოთ არქაული სურათი ადამიანური ცხოვრებისა – იმ მთავარი მომენტებისა, როდესაც მთელი ყურადღება გადატანილია ამ უძველესის (ტრადიციად ქცეულის) სრულყოფილად შესრულებასა და ვალის მოხდაზე. არაერთი სადღესასწაულო წეს-ჩვეულება ცხადყოფს, რომ იმპროვიზაცია აქ არ ხდება; ყოველთვის დიდი სიზუსტით მეორდება და სრულდება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი და მასხვობაში მტკიცედ გამჯდარი. დღესასწაული, რიტუალი, ჩვევა, შესაძლოა, მთელი ხალხის წარსულის, მისი დღევანდელი შესაცნობი მთავარ ფაქტორადაც კი იქცეს. მკვლევარი ამირან არაბული ასეთივე შეფასებას აძლევს მთელ ქართულ ხალხურ სამგლოვიარო პოეზიას, როგორც უმნიშვნელოვანეს მოვლენას მიცვალებულის კულტში: „იდეოლოგიური წნეხის და ზენოლის დამორგუნველი სიმძიმისაგან თავისუფალი, სპონტანური სიბრძნის და სისადავის წარუვალი მადლით გაჯერებული სამგლოვიარო ლექსი უმდიდრესი ფოლკლორული რეპერტუარის ის ლონიერი ნაკადია, რომლის მღელვარე „ტალღებში“ გარდასული დროუამის მძაფრი ადამიანური განცდებია ჩახვეული და გამომწყვდეული. მისი ჯგერგანი წავითხვა, აღქმა და განმარტება ჩვენი სულიერი გამოცდილების მართებული შეფასების უცილობელი წინაპირობაა“. ხალხური სამგლოვიარო პოეზია მთლიანად უძებნის ახსნას არსებულ თვალსაზრის მიღმურ, გარდაცვლილთა სამყაროზე.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიაც სავსებით ასახავს ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებებში არსებულ შეხედულებებს. ქორეოგრაფიამ მოძრაობათა სისტემა ჩამოაყალიბა და მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოში მოაქცია რიგი სადღესასწაულო რიტუალები. შეიმუშავა მოძრაობების თავისებური მანერა, მიუსადაგა მთავარ არსს, რომელიც ამ რიტუალს შეეფერებოდა; და ჩვენ დღეს შეგვიძლია „ნავიკითხობთ“ აზრობრივი ქვეტექსტები, რომლებიც ამ მოძრაობაში დევს, ზედაპირზე ან იგულისხმება მასში. ხალხური ცეკვის მონაწილენი სხვადასხვა ფორმით სწორედ სულს განსახიერებენ. ბუქნაობა რიტუალური სიკვდილის სახეა. მეფერხულეთა მოძრაობა სწორედ სულთა მოძრაობაა (ი. გაგულაშვილი).

წარსულში მოცეკვავეები შიშველნი იყვნენ, მაგრამ ეს სიშიშველე სრულიადაც არ ნიშნავდა უზნეობას; ბუნებრივი გარემო იყო ისეთი, რომ ცეკვა მიიჩნეოდა საკრალურ მოვლენად და მისთვის ღვთაებრივი, ზებუნებრივი იერი დღეს ჩვენთვის წარმოდგენილი და მიუღებელი ფორმებით მიიღწეოდა. ბიბლიაში საულის ასულმა მელქოლამ მწარედ დასცინა თავის ქმარს, რომელმაც ერის წინაშე შიშველმა იცეკვა ღვთის სადიდებლად. დავით მეფე იქ სწორედ ფერხულში ჩაერთო, საერთო-სახალხო განწყობა შექმნა, აჰყვა მას და „დაიმდალა“ თავი უფლის წინაშე.

ცეკვის ზებუნებრივ არსზე ბევრს წერენ: „საკუთრივ ქართული მასალა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ გასაგები იყოს მკლავთა მოძრაობის „სიღარიბისა“ და მკაცრად განსაზღვრული მდგომარეობების ისტორიული საწყისები ვაჟთა ცეკვაში. ამისათვის საჭიროა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ შემდეგი: გვაროვნულ საზოგადოებაში სათანადო ასაკს მიღწეულ ვაჟს როკვას მხოლოდ განდობის წესის გავლისას ასწავლიდნენ. ამდენად, მროკველი ყოველთვის განდობილია, რომელიც მისი მშობლის, მითიური წინაპრის ხატად ხელმეორედ არის დაბადებული წესჩვეულებებში“ (ი. გაგულაშვილი).

როგორც ვარაუდობენ, ცეკვა ყოველთვის იყო აღმნიშვნელი რაღაც საკრალურისა; იგი ყველა რიტუალში გულგებულად უძველესი ქმედებაა. ცეკვა გარკვეულწილად ატარებდა მაგიის ელემენტებს. ისევე როგორც შელოცვა შეიცავს სიტყვიერ რესურსს, ცეკვა მოქმედებდა რესურსის მომცველი და შემნახველია. შესაძლოა, ცეკვის რიტუალური აღქმისას ყველაფერი არც იყოს შესამჩნევი, მაგრამ მის აზრობრივ „ქვეფენებში“ ეს ყოვე-

ლივე უკლებლივ დევს და ყველა საჭირო „ინფორმაციასაც“ შეიცავს. საცეკვაო რიტუალებში უხვადაა ე.წ. „შეჯიბრების“ ელემენტებიც, განსაკუთრებით გვიანტერესებს მასობრივი



ცეკვები; ი. გაგულაშვილის ნაშრომში ასეთი საყურადღებო დასკვნაა მოცემული: „ნახევარწრედ პირისპირ მდგარი მოცეკვავეების შეჯიბრი არსით იმავე რიგის მოვლენას წარმოადგენდა, რაც საგაზაფხულო სანესო დღეობაში ორ ჯგუფად გაყოფილი გუნდის (ზოგჯერ ორი სხვადასხვა სოფლისა და უბნის) სანესო შერკინება (ომი, ბრძოლა), რომელშიც გამარჯვებულს, ხალხური რწმენით, იმ წელს უხვი მოსავალი და კეთილდღეობა ელოდა. ამავე არსის მქონე იყო ცხოველთა თუ ფრინველთა შერკინების ტრადიცია. დაახლოებით ამავე საწყისებზეა ამოზრდილი ადამიანისა და ცხოველის სანესო ბრძოლაც (იხ. მაგალითად, ტორიდა)“.

ცეკვა შეიძლება წარმოვიდგინოთ „კოლექტიური ცნობიერების“ არსის ისეთ გამოვლენად, რომელმაც შეინახა არაცნობიერად მასში გულგებულ საკრალური ინფორმაცია, ხოლო მოგვიანებით, საერთო-სახალხო საკუთრებად ქცეულმა, „სანახაობრივი“ დანიშნულებაც შეიძინა. ცეკვის სფეროსადმიც მართებულია მ. ხიდაშელის აზრი: ხალხური შემოქმედების ყველა სფეროსათვის დამახასიათებელია სამყაროს გააზრება მის მთლიანობაში, რაც განისაზღვრება, როგორც ინტუიციური კოსმოგონიზმი, ანუ არსი იმისა, რასაც ტრადიციულს უწოდებენ. ეს ტრადიციულობა, უპირველეს ყოვლისა, არის ადამიანისა და ზებუნების, სამყაროს ერთიანობის იდეის შენარჩუნება, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში ქაოსის დაძლევა-ასთან ერთად დაიბადა და განუშორებელია ხალხური შემოქმედებისაგან.

კოლექტიურობა და გუნდურობა წარმოადგენს ხალხური შემოქმედების ძირითად ნიშანს. მუსიკა და ცეკვა თავდაპირველად ერთიანობაში იყო მოაზრებული, გვიან მოხდა მისი დიფერენციაცია. ასეთია ზოგადი სურათი, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში გამოწვევის სახით შემორჩენილია ოდინდელი მდგომარეობა. ასეთი ვითარება დღემდე იჩენს თავს სვანურ ფოლკლორში: „როცა ვლახაპარაკობთ სვანებს მუსიკალური ფოლკლორის სპეციფიკაზე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი სინთეზურობა – სიტყვის, მუსიკისა და მოძრაობის დაუნაწევრობა, ე.ი. მას შენარჩუნებული აქვს უძველესი ქართული სინკრეტული ხელოვნების ფორმა შესრულებისა. ამის გამო, როგორც ჩვენ ადრეც გვქონდა აღნიშნული, სვანების, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა მცხოვრებლების ხალხური სიმღერის საგმირო-საისტორიო, საყოფაცხოვრებო, სალაშქრო, სანადირო, სანსჩვეულებო თუ სხვა შესრულების ფორმა ერთი იყო – ფერხული (ორსართულია, სამსართულია, წრიული, მწკრივული). ყოველგვარი თავშეყრილობა, სახალხო დღესასწაული, საოჯახო დღეობები, რიგითი უქმე დღეები თუ სხვა მისთანანი, მათთან დაკავშირებული ყოველგვარი რელიგიური ქმედება – ლოცვა, შეწირვა და სხვა, რიტუალური ცეკვისა და ფერხულის გარეშე იშვიათად ხდებოდა“ (თ. მამალაძე).

ფერხული იყო და არის მასობრივი სახალხო დღესასწაულების უმთავრესი კომპონენტი. როგორც მკვლევართა უმეტესობა აღნიშნავს, ჩვენს მთაში სინკრეტული სახით შემორჩა ცეკვა-სიმღერა და ეს არის ფერხული.

**პროფესორ უჩა ღვალაშვილის**  
**წერილი „ფერხული, როგორც უნივერსალური**  
**სარიტუალო ცეკვა“ ავტორისავე თანხმობითა**  
**და სხვა აუცილებელი ფორმალურობების**  
**დაცვით გადმოთქმულია ნიგნიდან**  
**„ჩვენი ლირსებანი“.**  
**გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში**

პოზიხია

# ბავშვობა ადამიანის ცხოვრების მთავარი ნიშანსვყვია!



არ ახლდეს თან, ან არ უნდოდეს მისი გახსენება.

ყველა ადამიანის სანუკვარი, აუხდენელი ოცნება ბავშვობაში დაბრუნებაა, მაგრამ ვაი, რომ იგი არასოდეს აგვიხდება და ვრჩებით საოცნებო მოგონებებში. რა გაეწყობა, ეს ცხოვრებაა, ცხოვრება კიდეც, თავისი მდინარებით მიედინება.

ბავშვი ბუნებით მიაჩნია, გულუბრყვილო, კეთილი და ცნობისმოყვარეა, მისი გონება სუფთაა, ვით დაუნერული დაფა. ბავშვობაში ხდება ცნობიერების, მსოფლმხედველობის, მენტალურობის, ხასიათების დახვეწა, ჩამოყალიბება. ეს პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე სათუთი, მოსაფრთხილებელი და მოსაფრებელია. ამ დროს, დიდ როლს თამაშობს მშობლების, აღმზრდელ-პედაგოგების სწორი პოზიცია, პედაგოგიური მიდგომა, მათზე დამოკიდებული თუ როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება მოზარდი. აი, ეს პერიოდი აისახება ადამიანის ცხოვრებაზე ყველაზე ძალუმადა, ის ადამიანის ცხოვრების განმსაზღვრელი და ცხოვრებისეული ბედ-ილბლის მთავარი შტრიხია. ბავშვობაში შექმნილი უნარ-ჩვევები, ცოდნა, დამასოვრებული მონაცემები, სიცოცხლის ბოლომდე მესხიერებაში რჩება და გონებაში ილექება. ჩემის აზრით, ეს არის ყველაზე მთავარი ბიძგი ჩვენი შემდგომი პროფესიული არჩევანისათვის. ვისთვის მისი პირველი მასწავლებელი ან სწორუპოვარი შემსრულებელი, თავისი საქმის ოსტატი ნებისმიერი დარგისა და ჟანრისა, გახდა მისაბაძი, რამაც უდიდესი როლი ითამაშა მოზარდის პროფესიულ არჩევანში. ასე

ეზიარებიან, სიყვარულით განიმსჭვალებიან სხვადასხვა პროფესიებისა და დარგების მიმართ და დადგება ჟამი ყმაწვილკაცობისა. მაშინვე მიაშურებენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებს, უმაღლეს სკოლებს მათთვის სასწავლო პროფესიის დასაუფლებლად. ის ნაწახი და მონაცემი, ხდება ბიძგი შენი ცხოვრებისეული ბედ-ილბლისა.

ქართულ საბავშვო ქორეოგრაფიაში ათასობით სტაჟიანი და ახლადდამწყები, ანაც უკვე უკვე გამოცდილი ახალგაზრდა ქორეოგრაფ-პედაგოგები მუშაობენ. ჩემის აზრით აუცილებელია აღდგეს ძველი მიდგომა ოსტატის მიერ შეგირდის აღზრდისა, რამეთუ გამოცდილ, სტაჟიან პედაგოგთან დამწყები ქორეოგრაფ-პედაგოგი აუცილებლად მიიღებს იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რაც შემდგომში წაადგება მას, პედაგოგიური მეთოდების, მიდგომების შესწავლა-ათვისებაში, რაც მეტად დიდ სარგებლობას მოუტანს მას, როგორც პედაგოგ-ქორეოგრაფს.

რთულია ბავშვებთან მუშაობა, განსაკუთრებით ამ დროში. მიუხედავად მათი მცირე ასაკისა, ისინი უზარმაზარ ინფორმაციას ფლობენ ელექტრონული ტექნიკის საშუალებით. მათთან მუშაობის პროცესში განსაკუთრებული მომზადებაა საჭირო, როგორც პროფესიული თვალსაზრისით, ასევე სკოლის გარეშე სხვა ცოდნითაც უნდა იყოს აღჭურვილი თანამედროვე პედაგოგი.

პედაგოგი განსაკუთრებული მოთმინებით, სიყვარულითა და რუდუნებით უნდა მიუდგეს ბავშვთა აღზრდის ამ მეტად მძიმე, შრომატევად, დაუფასებელ, მაგრამ ყველაზე საპატიო პროფესიას. გადის წლები

და იხუნძლები გამოცდილებით, გახსენდება შენი პედაგოგები, რომელთაც ბაძავდი წლების მანძილზე, რომელთა განვლილი გზა შენთვის საამაყო და მისაბაძი იყო. აი, ეს იყო ჩვენი პროფესიული არჩევანისთვის ბიძგი და მაგალითი.

ბავშვების სიყვარულის გარეშე ვერცერთი პედაგოგ-მასწავლებელი ვერ გაართმევს თავს ამ მეტად საპატიო, მძიმე მისიას, რამეთუ პედაგოგობა ყველაზე რთული პროფესიაა.

გადის წლები და აუცილებლად გიჩნდება სურვილი გადახედო, შენს განვლილ გზას და ეძებ სად რა შეცდომა გაგებარა, სად არ დიდის ვერ მოიქეცი ისე, როგორი ქცევაც სხვისგან არ მოგეწონებოდა, სად ვერ მოიქეცი სამაგალითოდ შენი აღსაზრდელისათვის.

ჩემის აზრით, ჩვენმა ახალგაზრდა კოლეგებმა ბევრი უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე. გარდა პრაქტიკული ცოდნისა, საჭიროა თეორიული ცოდნის ამბლლება ამისთვის ჩვენს დროში უამრავი საშუალება არსებობს. მიუხედავად იმ პირობებისა, რა პირობებშიც ჩვენ გვინევს ცხოვრება, არ უნდა დაკარგონ ინტერესი ცოდნის ასამბლლება. საჭირო და აუცილებელია სამეცნიერო კონფერენციების, თეორიული, პრაქტიკული მასტერკლასების ხშირი ჩატარება, 10-15 დღიანი პროფესიული ტრენინგების, ლექციების, საუბრების, კინო-ვიდეო მასალების ჩვენება, რაც სწავლების, დაოსტატების ყველაზე კარგი საშუალებაა და იმედია, ასეც იქნება.

იური ტორაძე

ადამიანი თავისი ბავშვობიდან მოდის, ცხოვრების ის პერიოდი კი განუმეორებელი და სანატრელია.

როგორ სიტუაციაშიც არ უნდა გაატაროს ბავშვობა მოზარდმა, გაჭირვებაში, სიდუხჭირეში, ავადმყოფობაში თუ უსახლკარობაში, მაინც სანუკვარი და საოცნებო პერიოდი მისთვის.

ყველა თავისი ბავშვობის წლების ტკბილმწარე მოგონებებით ცხოვრობს, ის ჩვენი ხანგრძლივი ცხოვრების მეგზურია.

იმვითად თუ არსებობს ადამიანი, რომელსაც თავისი ბავშვობის მოგონებები

## ერთი დღე ერევანში




2015 წლის 30 იანვარს, სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ერევანში გაიმართა ქორეოგრაფიული ანსამბლების საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც მიეძღვნა სომხური ეროვნული არმიის დაარსების დღეს. ფესტივალს ორგანიზებას უწევდა სომხეთის ქორეოგრაფთა კავშირი. აღნიშნულ ფესტივალში, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა ორი საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლი: კრწანისის საჯარო სკოლასთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „კრწანისი“ (ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი **ზაზა მკვანაძე**) და თბილისის მე-10 საჯარო სკოლასთან არსებული საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერ-

ცხალი“ (ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი **დავით ჩაჩუა**).

ერევნელი მაყურებლის წინაშე ორივე ანსამბლი წარსდგა შესანიშნავად მომზადებული საცეკვაო რეპერტუარით, რასაც მოწმობდა მაყურებლის მხურვალე აპლოდისმენტები და ოვაციები.

წარმატებული გამოსვლისთვის ანსამბლები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“ წარმატებებს უსურვებს ორივე ანსამბლსა და მათ ხელმძღვანელებს. კვლავაც მრავალგზის გაეხარებინოთ სამშობლო და ქართველი ხალხი ქართული ხალხური ცეკვების ბრწყინვალე საშემსრულებლო ხელოვნებით.



# ბაქოლი თეოხელის „დიგორსა დასხდნენ ვეზირნი“ იგივე „დიგორი და ბასიანი“ ტოპონიმური და ეტიმოლოგიური კვლევის საკითხის შესახებ

ფერხული „დიგორი და ბასიანი“ მეომრულ-ლაშქრული ხასიათის ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება. რამდენიმე წლის წინ მკვლევართა შორის ცოტათი დაბნეულობა გამოიწვია იმ გეოგრაფიული სახელწოდებების ადგილმდებარეობითი კუთვნილების გარკვევამ, რომელსაც საფერხულო ლექსი შეიცავს, რადგან თვლიდნენ, რომ ლექსში მოცემული ტოპონიმები ერთმანეთთან ძლიერ დაშორებული იყვნენ და მათი ურთიერთკავშირის დადგენა ნაწარმოებში გადმოცემულ მოვლენასთან ეჭვის ქვეშ იდგა: „დიგორი რაჭას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება, ბასიანი კი სამხრეთ საქართველოში – ტაოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ბასიანის ბრძოლა 1204 წელს მოხდა თამარ მეფის დროს. გასარკვევია, რა კავშირშია ფერხულის ტექსტში ნახსენებ დიგორსა და ბასიანს შორის. არადა ფერხული შექმნილია და შინაარსობრივად უკავშირდება სოფელ ლეხზე ოსების ერთ-ერთ თავდასხმას. ასევე გასარკვევია ტექსტში ბადელოვანისა (ბადელას) და კირტიშოვანის (კირტიშის) ხსენების მიზეზიც. ბადელას სოფელი სამხრეთ საქართველოში (ბადელასდელი თურქეთის ტერიტორია), კირტიშო – ადგილი სოფელ ლეხთან. შესასწავლი და გასარკვევია, რა აკავშირებს საქართველოს სამხრეთით მდებარე ბასიანსა და ბადელას ჩრდილოეთით არსებულ დიგორსა და კირტიშთან, მათი დაპირისპირება უბრალო სიტყვების თამაშია, თუ რაიმეს უკავშირდება?

შეიძლება ვინმემ იფიქროს, დიგორის ადგილას დიდგორი უნდა იყოს – მეფეთა დასასვენებელი ადგილი თბილისის მახლობლად, სადაც 1121 წელს დიდგორის ლეგენდარული ბრძოლა მოხდა. ტექსტში შეიძლება შეეტანათ ორი გამორჩეული ისტორიული ადგილი – დიდგორი და ბასიანი. თუ ეს ასეა, მაშინ დასაზუსტებელია ბადელასა და კირტიშის, ამ ორი საპირისპირო ადგილის, ფერხულის ტექსტში მოხვედრის მიზეზი“ (ა. თათარაძე – ქართული ხალხური ცეკვა – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი – 2010 წ., გვ. 110).

**დიგორსა დასხდნენ ვეზირნი,  
ვეზირნი ბადელოვანი,  
მათ გამთრევა შექნათ:  
აზრის, გამთრევის  
სათმარად კირტიშოვანი.  
კირტიშის რომ ჩამოვიდნენ,  
გზანი დაუზღვრათ წყლიანი –  
წყლიანი, ქვიშაბანი.  
აყვართ ღებურთ ხიდები,  
განგრიეთ ციხის კარები...**

ჩვენ შევეცადეთ ამ გაუგებრობის დაბრუნება გარკვევას, სიცარიელის ამოვსებას და კვლევა ჩრდილოეთ კავკასიის შემადგენელი რეგიონებისა და ოლქების შესწავლით დავიწყეთ. საქმე იმაში გახლავთ, რომ დიგორი და ბასიანი სწორედ ის ორი ადგილია, რომლებიც დასავლეთ საქართველოში მდებარე ბასიანი ისტორიულად ჩრდილოეთი ოსეთი იყოფოდა ოთხ მსხვილ ოლქად: ქურთათი, თავაური, ბასიანი და დიგორი. იმდენად, რამდენადაც ისტორიული პერიპეტეების გამო საზღვრები ხშირად იცვლებოდა, ბასიანი დროის გარკვეულ მონაკვეთში ბალყარეთის შემადგენლობაში იმყოფებოდა. ამიტომაც, ასევე გვაქვს ინფორმაცია, რომ ბასიანებს ქართული წყაროები ბალყარებს უწოდებდნენ. ბალყარეთი ოსეთიდან მარცხნივ მდებარეობს. ყოველ შემთხვევაში, ლექსში, „დიგორი და ბასიანი“, ტოპონიმები დიგორი და ბასიანი ერთად მოხსენიებული და უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ მჭიდრო ურთიერთკავშირი, შესაბამისად, საერთო მიზეზები ამოძრავებდათ. რაც შეეხება ასევე აზრობრივი მნიშვნელობით კითხვის ქვეშ მდგომ „კირტიშო-

სა“ და „ბადელოვანს“, კირტიშო მართლაც ტოპონიმია მთა რაჭაში, ასევე ბადელოვანი ტოპონიმადან ბადელა არის ნაწარმოები ისევე, როგორც უღელე და ფაქიმი ფერხულიდან „უღელეს ჩამოდა უცხო ფრინველი“.

საფერხულო ტექსტში წარმოდგენილი ტოპონიმების გარკვევის შემდგომ სურვილი გავიჩინა უფრო მეტი სიზუსტე შეგვეტანა ლექსის ეპოქალური კუთვნილების განსაზღვრის თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის გასაგრძელებლად ფასდაუდებელი სამსახური გაგვინია „სვანური პოეზიის“ I ტომში მოცემულმა „დიგორი და ბასიანის“ სვანურმა ანალოგმა სახელწოდებით „დიგორსა“ (სვანური პოეზია – სსრკ. მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის გამოც., 1966 წ., გვ. 366):

**დიგორსა გაცხდი ვაზირნი,  
ჩეული, ბადელოვანი.  
აზრათ, გამთრევი  
შეგნითგან მთაზრევი  
5. ღები გთქვას ქოლოვანი (სუქნი)  
ქვაცხეს რომ ჩამოვიდე,  
თანი და თანი დაფრთე,  
სავალათ კინტრაშუანი;  
გზანი დაგვიხვდა წყლიანი.  
10. ფირცხლაშივი და მსვიანი,  
წინ კაცი შემთმეყაზრენ,  
ბომელ გოგისა ჰქვანთ  
დაბრუნდა, წინ წამევიდე,  
ვით შაურდელი ფრთიანი.  
15. „გაყებო, ფრთხილად იყავით;  
საქმეა დალატოვანი“.  
მაღალ გათანდა ბზიანი,  
ლაშვიდგან ისმა ზნაილი;  
ციხის შადულავა დეიქტა,  
მაღლა დაიწყო ზნაილი.  
მაცხთავანს სიტყვა მიაბრთვი,  
მგონი, რამ შენ მეწყინე,  
ღები თქვენისა ზნაიანი,  
უგვანად ჩენი ანბავი,  
25. ჩენი ზნაილისა სრეილი,  
ქვეით ანბავი მთვიდე.  
ქვეითი კაცი მთვიდა,  
შეკაზმულ ჯაფართვანი,  
მთელ-მთყრილ გამყრელთვანი,  
30. მაცხთავანი დაილოტეს.  
ვოსები და უბადურნი,  
უკუღმართი კბა ნიაგი,  
ჯუიკვებივითა ყრბანი.  
თმი შექნა ძელია,  
35. წითელი სისხლის დეგბათა;  
სუბიელი და სრეილი,  
ჭკუვანი და ხნაიანი  
გამყრელიქსა აქებდეს,  
ბომელს სვიეა სქეითდეს.**

ლექსიდან ვგებულობთ, რომ ოსები, რომელთაც დიგორში გადაწყვიტეს თავს დასხმოდნენ ღებს, საბრძოლველად გამოემართნენ და კირტიშო-ქვციხემდე ჩამოვიდნენ. სვანური ვერსიიდან ჩანს, რომ ჯარს წინ კაცი შემოხვდა, სახელად გოგი, თავად კი უკან გაბრუნდა, გაფრინდა, როგორც შურდული (ან შევარდენი ფრთიანი) თანამემამულეთა გასაფრთხილებლად. დიდი ბრძოლა გაიმართა, ბრძოლაში რაჭველი დიდგვაროვანები ჯაფარიძე და გამყრელიძე იღებდნენ მონაწილეობას, ნითელი სისხლი ღვარად დიოდა, გარდაცვლილები ჯირკვებივით ეყარნენ, გამყრელიძეს კი თავი ჭკუით გამოუჩენია. ბრძოლა დიდი მსხვერპლით დასრულდა, ლექსის მიხედვით არც გამარჯვებულია გამოკვეთილი, თუმცა ავტორის

დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი ცხადია – ბრძოლამ დიდი ემოციური ზემოქმედება მოახდინა თანამედროვეებზე.

ასევე უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ლექსის „დიგორი და ბასიანის“ სრული ვერსია (გაზეთი „ივერია“ N74, გვ. 1890):

**დიგორსა დასხდნენ ვეზირნი,  
ჩეული და ბადელოვანი,  
მათი და მათი ავწითოთ,  
სავალად კისტიშუანი  
ქვაცხეს რომ ჩამოვიდნენ  
გზანი დაუზღვრათ წყლიანი,  
წინ ივანე შეეფეთათ,  
გამბედავი, ძალუანი,  
ფიცხლავ შინსკენ გაბრუნდა,  
ვით შეგაზრდენი ფრთიანი,  
ციხისა ღურთს შეიჭრა,  
მაღლა დაიწყო ზნაიანი;  
ვაყებო, ფრთხილად იყავით,  
საქმეა დალატოვანი.  
დილა გათენდა მზიანი,  
ლაშქარსაც განდა ზნაიანი.  
გაელაშქრნენ სათამართა,  
მტერს მისცეს დიდი ზიანი,  
გამყრელიძესა აქებენ  
ბომელს იესე ჰქვანთ,  
ქართული ხმალი გასტეხა,  
სისხლი ყუას აცხიანთ;  
ოსებსა ხოცვა დაუწყეს,  
ჯირკვებივითა ჰყრბანთ,  
სამარტეც აღაბ აღბრესს,  
ღობის ნათხარში ჰყრბანთ.**

„ივერიაში“ გამოქვეყნებული ვერსიის თანახმად შიკრიკს ივანე ჰქვია, გამყრელიძე კი იესე არის მოხსენებული. ყოველივე დანარჩენი იდენტურია გარდა დასასრულისა. აქ ცხადი ხდება, რომ ქართველებს ოსები სასტიკად დაუმარცხებიათ და გამარჯვება მოუპოვებიათ.

საინტერესოა, როდის ჰქონდა ამ შეტაკებას ადგილი? ბრძოლის ადგილის დადგენით შესაძლებელი გახდება ფერხულის შექმნის დრო სავარაუდოდ მაინც შემოვფარგლოთ, რადგან კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს კონკრეტული დროითი ინტერვალი მიესადაგება.

შეუძლებელი იყო ყურადღება არ გაგვემახვილებინა ქართულ ისტორიოგრაფიაში წარმოდგენილ იმ პერიოდებზე, როდესაც ქართველებსა და ოსებს შორის ინტენსიურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. ეს გახლავთ V საუკუნე ჩვ.წ.აღ-ით, ვახტანგ გორგასლის ეპოქა და XIV საუკუნე, გიორგი V ბრწყინვალედ წოდებულის ეპოქა. V საუკუნე გამოირიცხა რიგი მიზეზების გამო, XIV საუკუნე კი ფერხულის დაბადების დასაშვებ თარიღად შეგვეძლო მიგვეჩინა, რომ არა კვლევის შედეგად გამოკვეთილი ახალი ინფორმაცია, რომელიც სარწმუნოდ მივიჩნიეთ: ერთი ცნობით, გიორგი ერისთავი მოკლეს 1785 წელს რებში (იხ. დავით ბატონიშვილი – ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი – ახალი მოთხრობა, გვ. 60), მეორით – 1786 წელს, გლოლაში (იხ. მასალები საქართველოს ისტორიისთვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა, გამოც. მ. ჯანაშვილისა გვ. 33). მაგრამ ორივე თარიღი მცდარია. დოკუმენტური მონაცემებით, 1786 წლის 13 დეკემბერს გიორგი წყალობის ნიგნს აძლევს თავის „ერთგულ ყმას“ ქველი გამყრელიძეს (ქუთ. მუზ. საბ. N353). უფრო გვიან, 1787 წ. 16 აგვისტოს, გიორგი ერისთავი ჯერ კიდევ ცოცხალია და ყმა-მამულს უძღვნის ჯრუჭის მონას-

ტერს (ქუთ. მუზ. საბ. N269), ხოლო ამავე წლის 22 სექტემბერს იგი უკვე მკვდარია და მისი ქვრივი, ელენე ბატონიშვილი განსვენებული ქმრის სულის „საოხად“ ბარაკონის ღვთისმშობელს სწირავს ხუთ კომლ გლახს და ერთ კომლ ვაჭარს „თავისი დუქნით“ (ხელნაწ. ინსტ. ფ. საბ. N1320).

ამრიგად გიორგი ერისთავი მოუკლავთ 1787 წ. 16 აგვისტოსა და ამავე წლის 22 სექტემბერს შუა“. (ო. სოსელია – ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან – გამოც. „მეცნიერება“, თბ. 1973 წ. გვ. 117. სქოლიო 285).

ეს გახლავთ ო. სოსელიას მიერ თანდართული სქოლიო ნაშრომში „რაჭის ერისთავთა სათავადო“ წიგნიდან „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“. ამავე ნაშრომში ვკითხულობთ: „ოსების წინააღმდეგ სალაშქროდ წასული, იგი მოკლეს 1787 წელს“ (იგივე ნაშრომი – გვ. 108).

იმისათვის, რომ მომხდარი ამის არსში გავერკვეთ, მცირე ისტორიული ექსკურსი, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება. XVIII ს-ის შუა წლები იმერეთის სამეფოში სოლომონ I-ის მეფობის ხანად ითვლება. ძველამოსილი რაჭის ერისთავი როსტომ მეფესთან დაპირისპირების გამო სასტიკად დაისაჯა. მასა და მისი ოჯახის წევრებს თვალები ამოშანთეს. ოჯახის წევრთაგან ნაწილი დახეობრებული აგრძელებდა სიცოცხლეს, ნაწილი დაიღუპა, ნაწილი კი გადაიხვეწა. რაჭის საერისთავო კი სოლომონ I-მა გააუქმა. წლების გასვლის შემდგომ ერისთავის ოჯახმა ნაწილობრივ მოახერხა რეაბილიტაცია, თუმცა მეფის გატოლებული თავადის დიდებულების ანტიდელიც კი აღარსად ჩანს. ახალი მეფე, დავით გიორგის ძე, როსტომის შვილს, გიორგის, უბრუნებს მამულის მცირე ნაწილს. სწორედ როსტომის ძის, გიორგის, შესახებ მოძიებულმა ისტორიულმა მასალამ მოგვცა საშუალება თავდაპირველი ვერსია – ფერხულის XIV საუკუნით დათარიღების შეგვეცვალა და კვლევა განგვეგრძო. დავით ბატონიშვილის „ახალ ისტორიაში“ ვკითხულობთ: „ხოლო წელსა ამასვე მეფემან იმერთამან დავით მოიყვანა სიძე თვისი რაჭის ერისთავის ძე გიორგი სტანბოლიდამ და მისცა რაჭის ერისთავობა. მისრული რაჭას, შევიდა ოსების დასაპყრობელად. მისრული ღებს მოიკლა ოსთა მიერ“ (დავით ბატონიშვილი – ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი – ახალი მოთხრობა – საქ. მეცნ. აკად. გამოც., თბ. 1941 წ., გვ. 60).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა 1787 წელს. საინტერესოა, რა გახდა გიორგის ოსეთს ლაშქრობის მიზეზი. სავარაუდოა, ის ცდილობდა თავისი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან ჩვენ უკვე ვიცით, რომ როსტომ ერისთავმა მთელი სიცოცხლე თამარ მეფისდროინდელი რაჭის საერისთავოს აღდგენას მოანდომა და შესწირა კიდევ თავი. საფერხულო ლექსის ქართული ვარიანტიც ხომ ასე იწყება: დიგორი და ბასიანი, ჩოხა-ნაბლით საესე არი“. მართლაც, ჩრდილოკავკასია განთქმული იყო ნაბდებისა და საჩოხე ქსოვილის წარმოებით. ჩოხა, ამ შემთხვევაში, მხოლოდ მზა სამოსის მნიშვნელობით არ არის ნაგულისხმევი. ჩოხას უწოდებდნენ იმ ქსოვილსაც, რისგანაც „ჩოხა“ იკერებოდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩოხა-ნაბადი ავტორის სიმდიდრის განზოგადებულ სახედ აქვს მოყვანილი.

### საბოლოო დასკვნა

**მთა რუსთაველის სახელობის  
თეატრისა და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი,  
ქორეოლოგი  
გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში**



# 8 თებერვალი ტავით IV აღმაშენებლის ხსენების დღეა

26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი) წმინდანად შერაცხული „მესიის მახვილის“, სრულიად საქართველოს მეფის, დავით IV აღმაშენებლის მოსახსენებელი დღეა.

დავით IV უმძიმეს ვითარებაში ჩაიბარა საქართველოს სამეფო ტახტი და გვირგვინი. ქვეყნის როგორც ტერიტორიული, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება მიღწეულ იქნა გარეშე მტრებთან ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლითა და დავით IV აღმაშენებლის მიერ გატარებული მრავალმხრივი რეფორმების შედეგად, რამაც საქართველო დაწინაურებულ და მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სახელმწიფო

ღვთისა, გლახაკთა, ქურციტთა და ობოლთა მოწყალე, სწულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი... (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა).

ჯერ კიდევ დავითის გამეფებამდე, საქართველოს მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად, ახალი უბედურება დაატყდა თავს, რომელსაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „დიდი თურქობის“ სახელით მოიხსენიებს: „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოხრდა ქვეყანა და ტყვედ გარდაიქცა, ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა... მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუთებულ, ხოლო ჩჩვილნი მიმოდატაცებულ...“ (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 320).

და სწორედ ამ უაღრესად მძიმე ვითარებაში, 1089 წელს, საქართველოს სამეფო კარზე მოხდა გადატრიალება, რის შედეგადაც ტახტიდან გადააყენეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი II, მისი ადგილი კი დაიკავა მისმა 16 წლის ძემ, დავით IV.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავითს



უბრუნდებოდა.

1099 წელს აღმაშენებელმა სელჩუკთა სულთანს ხარკის მიცემა შეუწყვიტა; 1103 წელს გააუქმა კლდეკარის საერისთავო და ურჩი ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში შეიპყრო; ბაღვაშის ბედი გაიზიარეს არაგვის ერისთავმა ძაგან აბულეთის ძემ და მისმა ძმამ, ეპისკოპოსმა მოდისტოსმა. უკვე ველარავინ გაბედავდა წინ აღდგომოდა სახელმწიფოსა და მეფის ინტერესებს.

1103 წელს მეფემ რუის-ურბნისში მოიწვია საეკლესიო კრება. „წმინდანი ეკლესიაში, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს“, - აღნიშნავს დავითის ისტორიკოსი. დავითმა ეკლესიიდან გააძევა უღირსნი და ამიერიდან, საეკლესიო თანამდებობებზე დანიშვნა-დანაშინაურება ხდებოდა არა ნოდებრივი და მემკვიდრეობითი ნიშნებით, არამედ პიროვნული ღირსებების მიხედვით...

1104 წელს დავით აღმაშენებელმა კახეთ-ჰერეთი შემოიერთა; 1110 წ. - სამშვილდე, 1115 წ. - რუსთავი, 1117 წ. - გიში და 1118 წ. - ლორე. ფაქტობრივად, თურქ-სელჩუკები საქართველოდან განდევნილნი იყვნენ, მაგრამ საქართველოს საზღვრებს მაინც უქმნიდნენ საფრთხეს.

საჭირო გახდა ქართული ჯარის უფრო მეტად გაძლიერება. დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასიიდან 40 000 ყივჩაყთა ოჯახი ჩამოსახლა, ამით 40 000 მოლაშქრე შეიმატა და 1120 წლისთვის 60 000 მუდმივი ლაშქარი შექმნა. ამას ემატებოდა მეფის პირადი გვარდია (ხუთათასიანი) „მონა-სპა“ და „სამეფო სპანი“,

1121 წლის 12 აგვისტო - დიდგორის ბრძოლა, რომელსაც შემდგომ „ძლევია საკვირველი“ უწოდეს. დავითმა მაჰმადიანური კოალიციის 400-ათასიან ლაშქარს 55-56 ათასამდე მხედრობა შეაგება. ბრძოლა ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა;

1122 წ. დავით მეფემ შემოიერთა თბილისი და სატახტო ქალაქი კვლავ აქ გადმოიტანა;

1123 წ. გაათავისუფლა შირვანი, ხოლო 1124 წ. - ანისი. „სულტანი დასვა მოხარკედ თვისა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თვისი: დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანა მეფენი, ხოლო მონად ხელმწიფენი, მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმითელნი, მტუერად დასვა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 351).

ქართველთა ძლევამოსილ მეფეს არც განათლება-კულტურა დარჩენია უყურადღებოდ. სწორედ მისი თაოსნობით დაარსდა ქართული კულტურის ორი უდიდესი კერა - გელათისა და იყალთოს აკადემიები. გელათის აკადემიას იოანე პეტრიწი, ხოლო იყალთოს აკადემიას არსენ იყალთოელი ჩაუყენა სათავეში. ორივე აკადემია წარმოადგენდა მაღალი დონის კულტურულ-საგანმანათლებლო, საერო-ფილოსოფიურ და სასულიერო განათლების კერებს. აი რას წერს თავის „აბდულმესიანში“ ქართველი მოღვაწე და პოეტი იოანე შავთელი:

**„ახალო რომო, შეთვის თქვეს რომო, უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა; ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაჰკრძალვენ წმიდათ სხეულსა“.**

დავითი დაულალავად აშენებდა ტაძრებს, აგებდა ხიდებს, სავაჭრო და საფოსტო სახლებს. საგანგებო სახლი აუგო თბილისში მაჰმადიან პოეტებსა და მოაზროვნეებს. ჭაბუკ ქართველებს უცხოეთში აგზავნიდა განათლების მისაღებად. არც საქართველოს გარეთ არსებულ ეკლესია-მონასტრებს და სავანეებს აკლებდა ყურადღებას...

1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა ყველა დროის უდიდესი ხელმწიფე, „მესიის მახვილად“ შერაცხული დავით აღმაშენებელი. იგი დაკრძალეს მის მიერვე აგებულ და სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტერში. ქვის ფილაზე კი, რომელიც მონასტრის ჩრდილოეთის შესასვლელის იატაკზეა დაგებული, ასეთი წარწერაა:

**„ესე აჩს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე; ასე მთნავს: აქა დავემკვიდრბო მე“.**

მანანა შუიკიძე




ტერიტორიის მნიშვნელოვნად გაფართოება ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოკსეთიდან არეგანამდე...

XI საუკუნის 80-იანი წლების ეკონომიკურად უაღრესად დაქვეითებულ და პოლიტიკურად დასუსტებულ საქართველოს მოველინა პიროვნება, რომელმაც მოახერხა დაქსაქსული ქართველობის შეკავშირება, მომხდური მტრის დამარცხება და ქვეყნის აღმავლობის გზაზე დაყენება. ამას მოჰყვა დიდი გარდაქმნები, მშენებლობები და კულტურული ღონისძიებები.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა დავით IV ბაგრატიონს „აღმაშენებელი“ უწოდა!..

მსოფლიო ისტორია ცნობილია მეფეთაგან მრავალფეროვანი წოდებებით: „მრისხანე“, „ბრწყინვალე“, „დიდი“, „მოკლე“, „ლომგული“, „თავდადებული“, „რეგენი“, „ზაქიჭამია“, „ავი“ და სხვ. ეს ეპითეტები ნათელ წარმოდგენას გვაწვდიან მავანთა მოღვაწეობასა და შთამომავლობის მათდამი დამოკიდებულებაზე. მადლიერმა ქართველმა ხალხმა კი დავით მეფეს „აღმაშენებელი“ უწოდა. საინტერესოა რას წერს დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ამის შესახებ: „ხოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ესე სრულიად ოხერი; ამან განახსნა და აღაშენა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშში და მოყუარე

მძიმე მემკვიდრეობა ერგო. საქართველო იმდენად იყო დაუძღვრებული, რომ მეფის უფლებები მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. დავით IV შემოიკრიბა სანდო ადამიანები, რომლებთან ერთადაც ქმნიდა ერთგულ მხედართა რაზმებს. დავით მეფემ მათთან



ერთად შეძლო თურქ-სულჩუკების ქართლიდან განდევნა. შედეგად, მთაში გახიზნული ქართველები ბარს დაუბრუნდნენ. დავითის წყალობით ცხოვრება ქვეყანაში კვლავ ნორმალურ კალაპოტს

რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერისთავებს გამოყავდათ. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ლაშქარს ემატებოდა „როქის სპა“ - უცხოელთა დაქირავებული ჯარი.

# ქართული საბავშვო ჟურნალის ფოლკლორული წყაროები

ქართულ ფოლკლორს უაღრესად მდიდარი ისტორიული წარსული აქვს. ამის დადასტურებაა საისტორიო თუ სალიტერატურო მწერლობაში დაცული ორიგინალური მასალები, მკვლევართა მიერ ფიქსირებული და თავმოყრილი პოეზიის ნიმუშები, ზღაპრები, ლეგენდები, თქმულებები, სიმღერები, ცეკვები, თეატრალიზებული წარმოდგენები და ხალხური თამაშობანი. ჩვენამდე მოღწეული ეს უმდიდრესი მხატვრულ-ისტორიული შინაარსის მქონე მასალა კარგა ხანია მოექცა სამეცნიერო და პრაქტიკულ-საშემსრულებლო გამოყენების სფეროში. შეიქმნა სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა, გამოვლინდა ფოლკლორული ვარიანტები, დამუშავდა საკონცერტო-სასცენო ჩვენებისათვის უფრო მისაღები, გათანამედროვეებული საავტორო ნიმუშები და ა.შ.

ქართული ფოლკლორული მასალები ფართოდ გამოიყენება მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის მთლიანი სისტემის შინაარსშიც. აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვადასხვა დროს თავისი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა ფშაველას, იაკობ გოგებაშვილს, ასევე პედაგოგიური აზრის მკვლევარებს, ფოლკლორისტებს, ისტორიკოსებს, პრაქტიკოს მასწავლებლებს.

ცნობილია, რომ ქართულ ფოლკლორში მოძრავი საბავშვო თამაშობანი მრავლად მოიპოვება. აქედან გამომდინარე ნიჭიერ და შემოქმედებითად მოაზროვნე ქორეოგრაფს არ უნდა გაუჭირდეს მათი სასცენო დამუშავება და დღევანდელ მოთხოვნებთან მორგება.

თამაშობის წარმოშობა მიეკუთვნება ადამიანთა საზოგადოების შორეულ წარსულს და იგი წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ აღზრდის საშუალებას. თამაშობის წარმოშობისა და განვითარების დასაბამის წარმოადგენს შრომა. თუმცა დროთა განმავლობაში ბავშვი შრომითი პროცესიდან მეტნაკლებად გამოთავისუფლდა, რამაც მისი ბავშვობის პერიოდი მკვეთრად გაახანგრძლივა. სწორედ ამ დროს გაჩნდა სხვადასხვა საბავშვო თამაშობანი, რომელთა საშუალებითაც ბავშვი ახდენდა საკუთარი ენერჯის გამოყენებას და იძენდა ზრდასრულობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

XX საუკუნეში ფოლკლორული ექსპედიციების დროს შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებში მრავლად მოიპოვება ხალხური ესთეტიკური აღზრდის პროცესში გამოყენებული ნიმუშები. მაგალითად, დუშეთის რაიონის სოფელ მალაროსკარის მცხოვრები, 75 წლის ქრელი უძილური გადმოგვცემს: „იცოდნენ ცეკვა „ცანგალა და გოგონა“. ჰქონდათ გარმონი, სტივირი, სალაშური და ერთობოდნენ“. ასეთ ღონისძიებათა შემდეგ ბავშვი (მორბილებთან ერთად) გარკვეულ წარმოდგენებს ღებულობდა ხელოვნების ნიმუშებზე და პრაქტიკულადაც მონაწილეობდა მათ შესრულებაში. ეს კი მომავალი ხელოვნის მომზადების პირობებს ქმნიდა. ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით სოფელ პირველში (საჩხერის რაიონი) მოზარდები ხარება დღეს დილით ერთგვარი ნიღბებით (იკეთებდნენ მწარე გოგრას, რომელზედაც ადამიანის სახე იყო გამოხატული) ოჯახებში ჩამოვიდნენ და გარკვეული ტექსტის ლექსს მღეროდნენ. ასეთი შემოქმედებითი პრაქტიკა მომავალი არტისტის მომზადების ერთგვარ რეპეტიციას წარმოადგენდა. იმდროინდელი პრესა ისეთ მასალას გვანვდის, რომლითაც ბავშვთა ასეთ წარმოდგენებზე ვლბულობთ ინფორმაციას. 1882 წლის გაზეთ „დროება“-ში (N69) დაბეჭდილ წერილში ვკითხულობთ: „მარხვის შემდეგ პირველ კვირას მართალია, თეატრები არ იყო, მაგრამ 2 საღამო გაიმართა. პირველი საყმაწვილო საღამო, სადაც თავის პატარა მოქმედებით ანუგეშეს და კარგი მომავლის იმედი გაუღვიძეს თავის მშობელთა და გარემე მაყურებელთა: ზოგი საკრავზე უკრავდა, ზოგი ლექსებს კითხულობდა, ზოგი მღეროდნენ და ზოგი ცეკვავდნენ. საღამომ ჩინებულად ჩაიარა“.

ქართული ხალხური პედაგოგიკის ცნობილი სპეციალისტის, ანტონ ხინთიბიძის აზრით, ბავშვის ესთეტიკურ აღზრდას ემ-

სახურებოდა ხალხური თამაშობანიც, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბავშვებში და რომელთაგან ბევრში მსახიობის ჩვევათა დაუფლების ელემენტარული საწყისები იყო. აქვე ავტორს მაგალითად მოყავს ერთ-ერთი საბავშვო თამაშობა, რომელიც ქორის თავდასხმას ასახავს კრუსზე და წინილებზე: „ერთი ბავშვი დედას როლს ასრულებს, მეორე ქორის, ხოლო დანარჩენი წინილებსა. აქ თითოეული იმ თვისებათა დაუფლებაში და გამოუმუშავებაში იწრთობოდა, რომლებიც ყოველ ამ ფრინველს გააჩნია, ის ფსიქოლოგიური განწყობის დაუფლებაშიც, რაც ყოველთვის იქმნება ასეთ კრეატიულ მომენტში. ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ სწორედ ამგვარ მომზადებაგავლილი ბავშვები იყვნენ შემდგომში ქართული თეატრისა და ზოგადად სცენის მომავალი თაობა.“

XIX საუკუნეში დიდი პოპულარობით სარგებლობდა „ყვენობა“, „ბერიკაობა“, „ჭონა“ და მრავალი სხვა სახის თამაშობა. ამ სახის თამაშებში დიდებთან ერთად მოზარდები და ბავშვები მონაწილეობდნენ.

დიმიტრი ჯანელიძე თავის ნაშრომში – „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“ მოგვითხრობს, რომ „ყვენობას“ ასრულებდა 20-30 კაცი – მოხუცები და ახალგაზრდები, ზოგჯერ კი მხოლოდ მოზარდები მონაწილეობდნენ მასში: „ახალგაზრდების გროვა, რომელიც მასხრულად არის შენიღბული, – ვკითხულობთ იქვე – დიდი ალმით დადის ქუჩა-ქუჩა და შეარჩევს მათივე წრიდან არჩეულ და სახუმაროდ მოკაზმულ ყვენის ამაღას, გამვლელებს აიძულებს თაყვანი სცენ ყვენს, ხარკი გადაუხადონ“ (გვ. 276-281).

ამრიგად ბავშვები და მოზარდები აქტიურად მონაწილეობდნენ „ყვენობის“ ჩატარებაში. ბერიკაობაშიც არაერთგან გვხვდება დიდებთან ერთად პატარების მონაწილეობაც. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ორივე სახის თამაშობა ბავშვთან იყო დაკავშირებული. ყვენობაში დიმიტრი ჯანელიძე ბუნების განაყოფიერებისა და შვილიერების კულტის გადმონამუშავს ხედავს. უფრო საყურადღებო ცნობები ბერიკაობაზე შემონახული დიმიტრი ჯანელიძე მოგვითხრობს, რომ „ბერა – ბარა ცხოველის შვილს ნიშნავს. ბერიკას კი ხშირად დათოს (დათვს) უწოდებდნენ“. ამასთან აქტიური აზრით ბერიკაობა შეყვარებული ქალ-ვაჟის როლებში შესრულებასაც გულისხმობს, რის შესაბამისადაც ე. წ. ჯანელიძე ასკვნის – „ბერიკაობა განაყოფიერებისა და შვილიერების საერთო კულტს უკავშირდება“ (გვ. 349-350).

ამრიგად, როგორც ყვენობა, ისე ბერიკაობა შვილიერებასთან და თვით ბავშვთან იყო დაკავშირებული და შეიძლება ამიტომაც ღებულობდნენ მასში ბავშვები ესოდენ აქტიურ მონაწილეობას. რა სახით და რა ფორმით ხდებოდა ამ სახის თამაშებში ბავშვების მონაწილეობა? ორივე სახის თამაშობისათვის მონაწილეობის თვალწინ და მათი მონაწილეობით დიდხანს ემზადებოდნენ, დაატარებოდათ 10-15 დღე. ამ საზღადისში გარკვეულ ყურადღებას საჭიროებდა მონაწილეების მორთულ-მოკაზმულობა. ბერიკაობის შემსრულებლები საგანგებო კოსტიუმებში ეწყობოდნენ, იკეთებდნენ დათვის, მეფის, კურდღლის, მოსამართლის და სხვათა ნიღბებს ან სათანადო ტანისამოს იცვამდნენ.

ამ თამაშობაში მონაწილეობისას ახალგაზრდები ეჩვეოდნენ თუ როგორ უნდა გამოეხატათ გამარჯვება, დამარცხება, სიკვდილი, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ტყვედ ჩაგარდნილას ან როგორ უნდა დაეხსნათ ტყვეობიდან თავი. ანტონ ხინთიბიძე მიიჩნევს, რომ ეს იყო მსახიობთა მომზადების სკოლა, კადრების სამჭედლო. მაგრამ მსახიობების ჩვევებს მათი მაყურებელი ახალგაზრდაც ღებულობდა, უფრო სწორად – ფსიქოლოგიურად ეჩვეოდა და ქცევის ზოგიერთ ხასიათს ეცნობოდა. ეს კი იყო ბავშვთა და მოზარდთა მთელი მასა, რომლებიც ძალიან განიცდიდნენ ამ სახის თამაშების მონაწილეთა მოქმედებას. ამგვარი განცდილობა და მონაწილეობის შედეგად ხალხური სახის თამაშები არა მხოლოდ მათი მონაწილე-

თათვის წარმოადგენდა მსახიობთა ერთგვარ მოსამზადებელ სკოლას, არამედ მისი მაყურებელი მომავალი თაობისათვისაც. ასე ემზადებოდნენ ხალხური მსახიობები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინტენსიურად გრძელდებოდა აღზრდის ხალხური ტრადიციები. აღსანიშნავია, დაბალი ფენიდან გამოსული ე.წ. ყარაჩოლელებისა და მუშა-ხელოსნების პოეზია. თითოეულს ერთგვარი სპეციფიკური ფორმები ჰქონდა, მაგრამ ორივენი ერთი მხრივ, მშრომელთა შეხედულებებს, ხოლო მეორე მხრივ, მკვეთრად გამოხატულ განათლების ელემენტებს შეიცავდნენ.

საქართველოში გავრცელებულ საბავშვო თამაშობებზე დაკვირვებისას აშკარად ჩანს მათი გეოგრაფიული ასპექტით გამოწვეული განსხვავებანი. სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული თამაშობანი ერთგვარად ასახავს ამ კუთხისათვის დამახასიათებელ ტრადიციებს, საქმიანობას, ზნე-ჩვეულებებს.

სამხუზაროდ, ჩვენამდე სათანადო სისრულით ვერ მოაღწია მასალამ იმის თაობაზე, თუ რა ტიპის ცეკვებს იყენებდნენ ძველ საქართველოში მოზარდთა სწავლების, მათი განვითარების მიზნით, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ აღზრდის ხალხურ ტრადიციებს, ქვეყნის რეალურ ყოფას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ მიზნით უთუოდ გამოყენებული იქნებოდა სანადირო, სპორტული, საბრძოლო და შრომითი რიტუალური ცეკვები. ბუნებრივია, რომ უშუალოდ ცეკვის მაგიურ რიტუალთან მისასვლელად ყოველი ხალხი, მათ შორის ქართველობაც გამოიყენებდა ბავშვური მოქმედების ჩვეულებრივ ფორმა-თამაშს. ქართული ფოლკლორის ანალიზი ადასტურებს, რომ ჩვენში გავრცელებული ყოფილა თამაშის არაერთი სახე, რომელიც მოზარდს მომავალი ცხოვრებისათვის ამზადებდა, აწრთობდა როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, აძლევდა სამომავლოდ გამოსაყენებელ ცოდნას, აჩვენებდა და აგუებდა იმ მოთხოვნებთან, რომელსაც მას ხვალ თუ ზეგ ნაუყენებდა ცხოვრება.

სპორტის ისტორიის მკვლევარის, ზაქარია შერაზადიშვილის „ხალხური თამაშობანი“ შემგროვებლური ხასიათის ნაშრომი, სადაც თავმოყრილი და აღწერილია ორმოცდაათამდე ქართული ხალხური თამაშობა. მათ შორის მეტად საყურადღებოდ მივიჩნევთ „ოხონინანა“, რომელიც აჭარაში გავრცელებული საცეკვაო ნიმუშის ზუსტი ანალოგიაა. „მონაწილეობს 15-მდე მოთამაშე – ვაჟები 7 წლის ასაკიდან. მონაწილენი ერთიმეორეს ქმრებში ჩაებმებიან. წინა მოთამაშე მეთაურია და ხელში უჭირავს ქამარი. მეთაური მასზე მომბრუნებულს ზიგზაგისებურად დაატარებს და გზაკვალს უბნევს, რომ როგორმე მწკრივიდან მოუწყვეტლად შემოუტრიალდეს, მისწვდეს და ფეხზე სარტყელი მოარტყას. მეთაური როცა მოესურვება იძახის: „ოხონინანა“, დანარჩენებიც იმეორებენ: „ოხონინანა“, როცა მოესურვება მეთაურს გამოცვლიან“. ეს ზუსტად ის შემთხვევაა, როცა ყოფაში წარმოშობილი თამაშობა ხელოვნებაშიც აგრძელებს არსებობას და უფრო მეტიც, იგი ამ კუთხის, კერძოდ კი აჭარის საცეკვაო ფოლკლორის ერთ-ერთი თვალსაჩინო და გავრცელებული ნიმუშია.

ზაქარია შერაზადიშვილს ამავე ნაშრომში აღწერილი აქვს თამაში „კატათავგობანა“, რომელიც ფორმით ძალიან ნაგავს ქართული საცეკვაო ფოლკლორის ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს – ფერულს. „მონაწილეობს 20-30 მცირე ასაკის ბავშვი, ბავშვები აირჩევენ კატას და თავს. დანარჩენები ერთმანეთს ჩაჰკიდებენ ხელს და ჩააბამენ დიდ წრეს.

თავი დადგება წრეში, კატა – წრის გაერთ. იწყება თამაში. კატა ცდილობს შეიჭრას წრეში, რომ თავი დაიჭიროს, დანარჩენი მოთამაშენი კი არ უშვებენ და თუ მაინც შეიჭრა, თავს საშუალებას აძლევენ, რომ კატას წრიდან გაექცეს, კატას კი გზას უღობავენ. როცა დაიჭერს, ახალ კატას და თავს ირჩევენ“. ეს სიუჟეტი ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ სასცენო

დამუშავებით, სწორად შერჩეული მუსიკალური თანხლებით და სიუჟეტის გამარავალ-ფეროვნებით ამ თამაშობიდან საინტერესო და სახალისო საბავშვო საცეკვაო ნიმუშები შეიქმნას.

ასეთივე წრიული ფერხულის ფორმა აქვს აქვე აღწერილ კიდევ ერთ თამაშს „თულა“.

„მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე, ვაჟები, თამაშისათვის საჭიროა ძველი ყაბლახი. მონაწილენი დგებიან წრეზე. ერთ-ერთი მოთამაშე თავისი სურვილით დგება წრეში. ის იქნება მორბენალი. დანარჩენებიდან ერთ-ერთს ზურგს უკან დამალული აქვს ყაბლახი, ანუ „თულა“, რომელსაც ორივე ბოლო ერთად აქვს გამოხატული.

მოთამაშეები წრეში ჩამდგარს, ანუ მორბენალს, როგორც კი დროს უხელთებენ ურტყამენ ყაბლახს და ისევ მალავენ ან გადასცემენ ერთიმეორეს. მორბენალი ცდილობს „თულა“ იპოვოს და მოთამაშეებს წაართვას. ის მოთამაშე, რომელსაც მორბენალი „თულას“ უპოვის, დგება მორბენლის ადგილზე (გვ.25).

ზაქარია შერაზადიშვილისავე ნაშრომშია აღწერილი საბავშვო თამაშობა „მიპარვა“: „მონაწილეობს 15-მდე მოთამაშე – გოგონები და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. მოთამაშენი ირჩევენ მოთვალთვალეს, დგებიან სწორ ხაზზე, ხოლო მოთვალთვალე დგება ხაზიდან 15-20 ნაბიჯის დაშორებით, ისე, რომ მოთვალთვალეზე მიქცეული აქვს მარცხენა ან მარჯვენა მხარი და შეუძლია თავის მოზრუნებით გაიხედოს მოთამაშისკენ ან სანინაღმდეგო მიმართულებით.

როდესაც მოთვალთვალე სანინაღმდეგო მიმართულებით იყურება, მოთამაშეს უფლება აქვს წაინიოს წინ, რამდენადაც მოასწრებს, ისე, რომ მოთვალთვალემ მისი მოძრაობა ვერ შენიშნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთვალთვალე მას დააბრუნებს საწყის ხაზზე. საწყის ხაზზე დაბრუნებული ყოველი მოთამაშე კი თავიდან იწყებს წინ წაწევას. ის, ვინც მოთვალთვალეს იმდენად დაუახლოვდება, რომ მხარზე ხელს დაჰკრავს, გამარჯვებულია და მოთვალთვალეს შეცვლის“ (გვ. 47).

ზემოთ აღწერილი თამაშებიც ვფიქრობ ერთობ საინტერესო ფოლკლორული მასალაა. ამ სიუჟეტის გამდიდრება ქართული საცეკვაო ლექსისათვის დამახასიათებელი მოძრაობებით, ვფიქრობ, კარგ საშუალებას იძლევა საბავშვო, სახალისო ქორეოგრაფიული ნიმუშების შესაქმნელად.

საბავშვო თამაშობათა შორის ერთ-ერთი მეტად საყურადღებო გასართობია „ნიშხანიშხანი“, რომელსაც ყურადღება მიაქცია ვერა ბარდაველიძემ და მისი განხილვისას შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „ქართული საბავშვო თამაშობა „ნიშხანიშხანი“ ასახავს კოსმიურ-მითოლოგიურ სცენას მნათობი მზისა და შავბნელი ძალის გველეშაპის დაუცხრობელი ბრძოლისას. ეს კოსმიურ-მითოლოგიური სიუჟეტი ხალხს შეეძლო შექმნა უძველეს წარმოდგენებთან დაკავშირებით დღე-ღამისა და ბუნებრივი სეზონების ცვლის გამომხატვლი ნათელი და შავბნელი, კეთილი და ავი ძალების ჭიდილის შესახებ“.

ამ თამაშობაში მზის ქალღვთაებას ბარბარეს წარმოადგენს ბარბალუკა, ხოლო შავბნელ ძალას – გველეშაპს, ნიშხანიშხანი. ეს თამაშობა მზის ქალღვთაება ბარბალუკასა და გველეშაპს ნიშხანიშხანს ბრძოლის ამსახველი მისტიკური გადმონაშთია. დიმიტრი ჯანელიძის აზრით, ნიშხანიშხანი რომ მართლაც საფერხულო შესრულების მისტიკია უნდა ყოფილიყო, ამას ისიც ადასტურებს, რომ თამაშის წყობას შენარჩუნებული აქვს საფერხულო შესრულების ნიშნები: მოთამაშეთა ორ ჯგუფად მწყობრში საკუთარი მოქმედების (ბარბალუკა და ნიშხანიშხანი) ყოლა. საბავშვო თამაშობაში საფერხულო წყობიდან ბევრი რამ დაკარგულია, მაგრამ, სამაგიეროდ მასში უფრო თვალნათლივ ჩანს ადრინდელი მითოლოგიური სიუჟეტის გადმონაშთი.

**თამარ გიგაშიძე,**  
*შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №48 24/12/2014 წ.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედითი კავშირი აღნიშნავს, რომ გასულ 2014 წლის მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით. დედაქალაქის და რეგიონების ანსამბლებმა არა ერთი საინტერესო რესპუბლიკური თუ საერთაშორისო ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა, რითაც ხელი შეუწვევს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების პროპაგანდას და მის შემდგომ პოპულარიზაციას.

ზემოთ აღნიშნულისა და ქართულ ქორეოგრაფიაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, 2014 წლის გამგებლობაში კავშირთან აქტიური თანადგომის, ასევე მოზარდი თაობის ფიზიკურ-ესტეტიკური აღზრდის საქმეში მიღწეული წარმატებების აღსანიშნავად გამორჩეულ ანსამბლებსა და პიროვნებებს მიენიჭათ სხვადასხვა ჯილდოები

- წლის საუკეთესო ქორეოგრაფი -
  - თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ივერია პლიუსის“ ხელმძღვანელს რეზო ბერაძე;
  - საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ ხელმძღვანელი ომარ (ჯემალ) რეხვიაშვილი;
  - საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ ხელმძღვანელი ნუნუ ლენერია;

- წლის საუკეთესო პედაგოგ- ქორეოგრაფი-ქ. ფოთის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლაზიკას“ პედაგოგ-ქორეოგრაფი ლამა ჩოფლიანი,
- წლის საუკეთესო პედაგოგ- ქორეოგრაფი- ქ. ზუგდიდის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „თუთარჩელა“ ქორეოგრაფი მალხაზ გვარამია.
- წლის საუკეთესო ანსამბლი - საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედი“.

- „ქართული კულტურის ამაღლარის“ წოდება მიენიჭათ:
  - დავით კაპანაძეს ქ.თბილისის სკოლა-ლიცეუმ „ვერის უბნის“ ქორეოგრაფი, სკოლა-სტუდია „თამარისის“ მთავარი ქორეოგრაფი;
  - დავით ბაზუბადას ქ. თბილისის #53 საჯარო სკოლის ქორეოგრაფი;
  - მაკო მიქელაძეს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ანსამბლ „ნარტების“ სოლისტი, ქ.თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „არაგველებს“ ქორეოგრაფი;
  - ირაკლი ჩიტაიას ქ. თბილისის #154 საჯარო სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „კოლიდას“ ხელმძღვანელი;
  - ირაკლი ნიკოლაიშვილს ქ.თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „იბერიას“ ქორეოგრაფი;
  - ივანე მაჭარაშვილს ქ. თბილისის #173 საჯარო სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „გერგეთის“ ქორეოგრაფი;
  - თამარ მემვილიძეშვილს ქ. თბილისის # 173 საჯარო სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ქართული ფესვების“ ქორეოგრაფი;
  - ვასილ ზამბახიძეს ქ. თბილისის ქორეოგრაფიული სტუდია „ეროსულთნების“ ქორეოგრაფი;
  - მანანა ბერიძეს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის აპარატის უფროსი;
  - ბესიკ გელაშვილს ქ. თბილისის #186 საჯარო სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ფესვების“ ქორეოგრაფი;
  - ინგა ცანდიშვილს ქ. თბილისის #107 საჯარო სკოლისა და #19 მუსიკალური სკოლის ქორეოგრაფი;
  - მერაბ გელაშვილს ქ. თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფესვების“ ქორეოგრაფი;
  - ლამარიკო მელიცკაურს ქ.დუშეთის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლაშარის ჯვარის“ ქორეოგრაფი;
  - გოჩა ლომსაძეს „ქ. თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი მინდას“ ქორეოგრაფი;
  - გიორგი ნაზარაშვილს ქ.გორის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „უფლისციხე“ ქორეოგრაფი;
  - ბექა ჯაბახიძეს ქორეოგრაფიული ანსამბლი „სიონი“ ქორეოგრაფი;
  - სოსო გურგენიშვილს ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამებას“ ქორეოგრაფი;
  - ზაზა მამუკელაშვილს ქორეოგრაფიული ანსამბლ „სიონის“ ქორეოგრაფი;
  - ირაკლი ჩიტაიას ქორეოგრაფიული ანსამბლ „კოლიდას“ ქორეოგრაფი;

- „ქართული კულტურის დესპანის“ წოდება მიენიჭათ:
  - ზაურ ჩიქვილაძეს ქ. თბილისის მუხიანის ნიქიერთა კერძო სკოლა-აკადემია ქორეოგრაფი;
  - გიორგი ჭანიშვილს ქ. თბილისის #22 საჯარო სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „განის“ ქორეოგრაფი;
  - გოჩა გრძელიშვილს ქ. თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „მრავალმხარის“ ქორეოგრაფი;
  - ბესიკ ტურაშვილს ქ. თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „იბერიონის“ ხელმძღვანელი;
  - კახაბერ მარკოიშვილს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი მენეჯერი;
  - ირაკლი ცერცვაძეს საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ბასიანის“ ხელმძღვანელი;
  - მურმან გამოსონიას საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის პასუხისმგებელი მდივანი;
  - ზაზა მყავანაძეს ქ. თბილისის კრწანისის # 198 საჯარო სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „კრწანისის“ ხელმძღვანელი;
  - დავით ჩაჩუას ქ. თბილისის #10 საჯარო სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „მერცხალის“ ქორეოგრაფი;
  - გელა ჭანიშვილს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ოფისმენეჯერი;
  - გენადი ცისკარიშვილს ქ. თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ერთობას“ ქორეოგრაფი;
  - თამუნა მელიქიშვილს ქ. თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლომისის“ ქორეოგრაფი;
  - ლამა ტორაძეს ქ. თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „პრომეთეს“ ქორეოგრაფი;
  - ზაზა ესიავას ქ. თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „კოლიდას“ ქორეოგრაფი;
  - ჯემალ ესიავას ქ. თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ისის“ ქორეოგრაფი;
  - ჯუმბერ ცუცქერიძეს ქ. თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „საქართველოს ქორეოგრაფიული ანსამბლ „ვერისის“ ქორეოგრაფი.

კავშირის თავმჯდომარე - /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №50 24/12/2014 წ.

საქართველოში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცქვევო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „კოლიდასის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. ქორეოგრაფი ურეი ტორაძე დაჯილდოვდეს „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების“ ორდენით.

თავმჯდომარე - /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №51 24/12/2014 წ.

საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცქვევო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „მედიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. ქორეოგრაფი თამაზ გოგოტიშვილი დაჯილდოვდეს „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების“ ორდენით.

თავმჯდომარე - /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №49 24/12/2014 წ.

საქართველოს ქორეოგრაფიის რაინდის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცქვევო ხელოვნების სფეროში თეორიული მოღვაწეობისათვის, გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგის დოქტორი, პროფესორი, ჰუმანიტარულ და განათლების აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ოლეგ ალაგიძე დაჯილდოვდეს „საქართველოს ქორეოგრაფიის რაინდის“ ორდენით.

თავმჯდომარე - /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის


ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №12 3/02/2015 წ.

საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების ორდენით დაჯილდოების შესახებ

წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიის პრეზიდენტი, იმერეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ „მერმისის“ მთავარი რედაქტორი თეიმურაზ ლანჩავა დაჯილდოვდეს „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების“ ორდენით.

თავმჯდომარე - /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის


ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №7 8/01/2015 წ.

საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცქვევო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი, პრაქტიკული მოღვაწეობისათვის გამორჩეული ქორეოგრაფი და საზოგადო მოღვაწე, ახალქალაქის ქორეოგრაფიული ანსამბლ „ჯავახეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ვალიკო ქუხიანი დაჯილდოვდეს „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების“ ორდენით.

თავმჯდომარე - /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №8 2/02/2015 წ.

საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების ორდენით დაჯილდოების შესახებ

წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ჟურნალ „თეატრალური ქუთაისი“-ს მთავარი რედაქტორი და საქართველოს თეატრალური საზოგადოების იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ლევან როსტაძე დაჯილდოვდეს „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების“ ორდენით.

თავმჯდომარე - /ლ. ჭანიშვილი/

ხელშეკრულება ხელმოწერის შესახებ № \_\_\_\_\_

დამატება № 1

თბილისი «\_\_\_» \_\_\_\_\_ 201\_ წ.

ხელშეკრულებაზე № \_\_\_\_\_ «\_\_\_» \_\_\_\_\_ 2012 წ.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის საგამომცემლო ჯგუფი გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“, ერთის მხრივ, მისი თავმჯდომარის ოლეგ ალავიძე სახით, შემდგომში გამომცემელი და \_\_\_\_\_ სახით

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის საგამომცემლო ჯგუფი გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“, ერთის მხრივ, მისი თავმჯდომარის ოლეგ ალავიძე სახით, შემდგომში გამომცემელი და \_\_\_\_\_ სახით \_\_\_\_\_, მეორეს მხრივ, შემდგომში ხელმოწერი, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

\_\_\_\_\_ , მეორეს მხრივ, შემდგომში ხელმოწერი, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, გამომცემელი ვალდებულია კისრულობს, გამოსცეს გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“ და ხელმოწერს მიაწოდოს დამატება № 1-ში მითითებული მონაცემების მიხედვით. ხელმოწერი კისრულობს ვალდებულებას დროულად აანაზღაუროს მიწოდებული პროდუქციის სრული ღირებულება. თანდართული ყველა დამატება არის ამ ხელშეკრულების განუყოფელი

1. გამომცემელი კისრულობს ვალდებულებას, გამოსცეს და ხელმოწერს მიაწოდოს გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“ შემდეგი მონაცემებით: 1 ცალი ეგზემპლარი ფასი - 2 (ორი) ლარი; წლიური ხელმოწერის ღირებულება ერთ ეგზემპლარზე - 24 ლარი.

გამომცემის დასახელება	ხელმოწერის პერიოდი	რაოდენობა	ფასი
„საქართველოს ქორეოგრაფია“	№№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12 (სულ 12 ნომერი), 2012 წელი		

1.2. ხელმოწერა ხორციელდება დამატება №1-ის მიხედვით.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. გამომცემელი ვალდებულია:  
2.1.1. დროულად გამოსცეს და მიაწოდოს ხელმოწერს მოთხოვნილი პროდუქცია წინასწარ (დამატება №1) შეთანხმებული ტირაჟით, თან დაურთოს პროდუქციის მიღება-ჩაბარების აქტი.

პროდუქციის ჩასაბარებელი ადგილი:

2. ფასში შედის პროდუქციის ტრანსპორტირების საფასური

2.2. ხელმოწერი ვალდებულია:  
2.2.1. გადაიხადოს მიღებული პროდუქციის საფასური ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის მიხედვით. მიღებისას შეამოწმოს პროდუქციის ხარისხი (ზომ არ არის დაზიანებული) და რაოდენობა, შეავსოს მიღება-ჩაბარების აქტი და მისი ერთი ეგზემპლარი დაუბრუნოს გამომცემელს

3. დამატება შედგენილია ორ ეგზემპლარად და არის აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

3. ხელმოწერის ღირებულება და ანაზღაურების წესი

3.1. ხელმოწერის ღირებულება (ერთ ეგზემპლარზე და წლიური) მითითებულია დამატება №1-ში, განისაზღვრება გამომცემლის მიერ და თანხმდება ხელმოწერთან წინასწარ. მითითებულ ღირებულებაში შედის პროდუქციის ხელმოწერისათვის მიწოდების საფასური.

მხარეთა ხელმოწერა:

გამომცემელი:

ხელმოწერი:

3.2. ხელმოწერი მისაღები პროდუქციის სრულ ღირებულებას იხდის წინასწარ გამომცემლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე (გადარიცხვის შემთხვევაში) ან ახორციელებს ნაღდ ანგარიშსწორებას.

\_\_\_\_\_ /ო. ალავიძე/

3.3. მხარეთა ვალდებულება ითვლება შესრულებულად პროდუქციის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისთანავე.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერისთანავე და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

შენიშვნა: თუ თქვენ გამოხატავთ თანხმობასა და კეთილ ნებას წინამდებარე შემოთავაზებისადმი, მაშინ შეგიძლიათ გაზეთის გვერდიდან ამოჭრათ ხელშეკრულების ვარიანტი, დასვათ ხელმოწერა და თარიღი, გააკეთოთ მისი ქსეროასლი და ერთი ეგზემპლარი ნებისმიერი თქვენთვის ხელმისაწვდომი ფორმით გამოგვიგზავნეთ გაზეთის რედაქციაში.

4.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წინასწარ ურთიერთ- შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორმა მხარემ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ პარტნიორს უნდა აცნობოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე.

4.3. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა ურთიერთ- შეთანხმების საფუძველზე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებაზე პასუხისმგებლობა თანაბრად ეკისრება ორივე მხარეს.

გაზეთის ხელმოწერის ფასებია: 12 თვით - 24 ლარი  
9 თვით - 18 ლარი  
6 თვით - 12 ლარი

5.2. იმ შემთხვევაში, თუ გამომცემელი გარკვეული მიზეზებით ვერ ახერხებს ხელმოწერისათვის პროდუქციის მიწოდებას, იგი ვალდებულია ხელმოწერის დაუბრუნოს მიუწოდებელი პროდუქციის სრული ღირებულება.

5.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორსმაჟორის შემთხვევაში. თუ ასეთი ვითარება დგება, მხარეებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ 3 დღის განმავლობაში.

6. არბიტრაჟი

6.1. ყველა სადაო საკითხს მხარეები წყვეტენ მოლაპარაკების გზით.

6.2. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ვერ თანხმდებიან მოლაპარაკების გზით, ყველა სადაო საკითხი წყდება არბიტრაჟის მიერ. არბიტრაჟს შეიძლება მიმართოს როგორც ერთმა, ისე ორივე მხარემ.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ძალაში შესულად ითვლება თუ ის მხარეთა შორის შეთანხმებული წერილობითი ფორმით წინასწარ და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულყოფილიანი წარმომადგენლების მიერ.

7.2. ყველაფერს, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ასრულებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

7.4. მხარეთა რეკვიზიტებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ მხარეებს უნდა ეცნობოთ 3 დღის განმავლობაში.

8. მხარეთა რეკვიზიტები

გამომცემელი	ხელმოწერი
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის საგამომცემლო ჯგუფი გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“,	_____
თბილისი, გ. დადიანის ქ. #26 ტელ/ფაქსი: 0(995 32)35 48 41; საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი: BAGAGE22; ანგარიშის № GE17BG000000502117900	

მხარეთა ხელმოწერები:

გამომცემელი:

ხელმოწერი:

\_\_\_\_\_ /ო. ალავიძე/

\_\_\_\_\_ /\_\_\_\_\_ /

გარეკანის II გვერდი

150 ამერიკული დოლარის ექვივალენტი ლარებში(მთლიანი გვერდი)  
75 ამერიკული დოლარის ექვივალენტი ლარებში(ნახევარი გვერდი)

გარეკანის III გვერდი

100 ამერიკული დოლარის ექვივალენტი ლარებში(მთლიანი გვერდი)  
50 ამერიკული დოლარის ექვივალენტი ლარებში(ნახევარი გვერდი)

გარეკანის IV გვერდი

200 ამერიკული დოლარის ექვივალენტი ლარებში(მთლიანი გვერდი)  
100 ამერიკული დოლარის ექვივალენტი ლარებში(ნახევარი გვერდი)

შიდა გვერდები

50 ამერიკული დოლარის ექვივალენტი ლარებში(მთლიანი გვერდი)  
შავ-თეთრი:  
25 ამერიკული დოლარის ექვივალენტი ლარებში(ნახევარი გვერდი)

C  
M  
Y  
K

2015 წლის მარტის თვე მეტად დატვირთული და შინაარსობრივად მრავალფეროვანია საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი ჯავშირისათვის. დაგეგმილია ღონისძიებათა საკმაოდ დიდი ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებას, ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის პროცესში მისი გამოყენების სისტემის სრულყოფას.

**7 მარტს** ქ. წყალტუბოში ჩატარდა იმერეთ, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახავშო და ახალგაზრდული ანსამბლების დათვალიერება.

**7-8 მარტი** მნიშვნელოვანი დღეები იყო გურიის რეგიონისათვის. სახავშო ქორეოგრაფიულ ანსამბლებს „მანანურსა“ (ხელმძღვანელები მანანა მაყარაძე და ნუკრი ლლონგი) და „ზენაარს“ (ხელმძღვანელი მელის ნადირიძე) საიუბილეო თარიღები შეუსრულდათ. ამასთან დაჯავშირებით გაიმართა საანგარიშო კონცერტების სერია ქალაქ ოზურგეთსა და ნატანების კულტურის სახლში.

**10 მარტს** ასეთივე კონცერტი გაიმართა ქალაქ ჭიათურაში, სადაც სცენა დაეთმო ანსამბლ „ფესვებს“ (ხელმძღვანელი მამუკა ცერცვაძე).

**14-15 მარტი** მნიშვნელოვანი დღეებია ქორეოგრაფიის მოღვაწეთა

ჯავშირისათვის. ამ დღეებში ქალაქ ბათუმში ჩატარდება გასვლითი სამეცნიერო-კვლევითი კონფერენცია და გამგეობის სხდომა.

**21 მარტს** ქ. თბილისში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაიხსნება სახელოვანი ქართველი მოცეკვავის, სუბიშვილების ლეგენდარული სოლისტის ლატავრა ფოჩიანის მემორიალური დაფა.

თვის ღონისძიებებს შეაჯამებს „სანიშნო-სახავშო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლებს“ დათვალიერება-ფესტივალი, რომელიც გაიმართება

**28-29 მარტს** ქ. თბილისში. გაიცემა შესაბამისობის ახალი სერტიფიკატები და სპეციალური დიპლომები.

## ოსკარზე ნომინირებული „მანდაინები“

საქვეყნოდ ცნობილი გახდა, რომ ქართველი რეჟისორის ზაზა ურუშაძის გახმაურებული ფილმი „მანდაინები“ 5 საუკეთეს-




სო უცხოენოვან ფილმს შორის დასახელდა და ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ფილმის „ოსკარის“ ნომინანტი გახდა. სამწუხაროდ, ლოს-ანჯელესში გამართულ ოსკარების რიგით 87-ე ცერემონიაზე „მანდაინებმა“ „ოსკარი“ ვერ მიიღო, თუმცა, ის ფაქტი, რომ ქართველი რეჟისორის ფილმი ასეთ პრესტიჟულ ფილმზე დასახელდა, ქართული კინემატოგრაფიისა და სრულიად საქართველოსთვის უკვე დიდ გამარჯვებად ითვლება.

საუკეთესო უცხოენოვანი ფილმების კატეგორიაში „ოსკარი“ წილად ხვდა პოლონურ ფილმს – პაველ პავლიკოვსკის „იდას“. „იდასა“ და „მანდაინების“ გარდა,

ამ უკანასკნელის სახელით იქნა წარდგენილი.

დაჯილდოების ცერემონიაზე იმყოფებოდნენ ფილმის რეჟისორი ზაზა ურუშაძე, ესტონელი პროდიუსერი, მთავარი როლის შემსრულებელი ლემბიტ ულფსაკი, ასევე ქართველი მსახიობები მიშა მესხი და გიორგი ნაკაშიძე. დოლბის სახელგანთქმულ თეატრში ვერ მოხვდა მსახიობი ია სუხიტაშვილი. თურქეთის აეროპორტში სამდღიანი შეყოვნების გამო, მას რეგისტრაცია დააგვიანდა და ნითელ ხალიჩაზე გავლა ვეღარ შეძლო.

დაჯილდოების ცერემონიამ მშვიდად და ტრადიციულად ჩაიარა. „ოსკარი 2015“-ის მთავარი ტრიუმფატორი გახდა მექსიკელი რეჟისორის ალესანდრო გონსალეს ინარიტუს ნამუშევარი „ბიორდემენ“. ამ ფილმმა 4 ოსკარი აიღო. წლის საუკეთესო მსახიობ მამაკაცად ედი რედმეინი, ხოლო საუკეთესო მსახიობ ქალად ჯულიანა მური დასახელდა. საუკეთესო მუსიკისთვის ეს პრესტიჟული ჯილდო გადაეცა კომპოზიტორ ალექსანდრ დესპლას ფილმისთვის „სასტუმრო გრანდ ბუდაპეშტი“, რომლის რეჟისორიც უეს ანდერსონი გახლავთ. ამ ფილმმა კიდევ სამი ოსკარი დაიმსახურა საუკეთესო კოსტიუმებისთვის, გრიმისა და დიზაინისთვის.



ამ კატეგორიაში ნომინირებული იყო რუსული ფილმი „ლევიტანი“, მავრიტანული „ტიმბუქსტუ“ და არგენტინული „ველური ისტორიები“.

შეგახსენებთ, რომ „მანდაინები“ ესტონურ-ქართული ნამუშევარია და, ვინაიდან, ფილმის დაფინანსებისთვის მეტი ბიუჯეტი ესტონეთმა გამოყო, „ოსკარზეც“ სწორედ

ვუსურვოთ წარმატებები, არა მარტო „მანდაინების“ შემქმნელ შემოქმედებით ჯგუფს, არამედ ყველა ქართველ კინოხელოვანს, ეროვნულ კინოცენტრს, ქართველ მსახიობებს და რეჟისორებს, რომელთათვისაც ეს პრეცედენტი ნამდვილად იქნება მოტივაცია – „ოსკარზე“ ნომინირება ხომ თავისთავად გამარჯვებას ნიშნავს.

## ეს საინტერესოა

### ეპსარომატი

მოუმზადებლად, მაგრამ კარგად თქმული სიტყვა ან ლექსი, ან გაკეთებული საქმე. ხმარებაში ეს გამოთქმა ციციერონმა შემოიღო. ცხოვრობდა 106-43 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

### ეპიკურული

ადამიანი, რომლის მიზანია მარტოოდენ ხორციელი სიამოვნება. გამოთქმა წარმოიშვა ასე: III ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე საბერძნეთში ცხოვრობდა ფილოსოფოსი ეპიკურე, რომელიც ასწავლიდა, რომ სიცოცხლის მიზანი სულიერი სიმშვიდე და გონებრივი სიამოვნება არისო. ეპიკურეს მოძღვრება შემდეგში დამახინჯდა და გაგებულ იქნა ისე, როგორც ახლა გვეხმის ჩვენ.

### ეპოპური გამოთქმა

(ეპოპისებური თქმა) – გადაკრულად თქმა, იგავებით, ორზოროვნად საუბარი. ეპოპე იყო მონა, რომელიც ცხოვრობდა საბერძნეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV ს. მან დატოვა შესანიშნავი იგავ-არაკები. ეპოპეს, როგორც მონას, არ შეეძლო პირდაპირ გამოეთქვა თავისი აზრი არსებულ წყობილებაზე, ამიტომ გადაკრულად, ქარაგმებით გამოთქვამდა აზრს.

### იცოცხლეთ

კაცი რომ ცხვირს დააცემინებს იტყვიან: „იცოცხლეთ!“ ეს ჩვეულება ძველად გავრცელებული იყო ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, საბერძნეთში და რომში.

ლეგენდა ამბობს, რომ პრომეთემ თიხისგან გააკეთა კაცის ქანდაკება და შთაბერა ნაწილი იმ ცეცხლისა, ზევსს რომ მოსტაცა. ქანდაკებამ ცხვირი დააცემინა და გაცოცხლდა. პრომეთემ უთხრა: „იცოცხლე!“ ამის შემდეგ ადამიანებმაც შემოიღეს ეს სიტყვა ცხვირის დაცემინებისას.

ცხვირის დაცემინება ებრაელებშიაც სიცოცხლის ნიშანი იყო. დაბადებაში წერია, რომ ერთ ქალს შვილი მოუკვდა, ელისე წინასწარმეტყველმა ულოცა, „და შეიკუნცხა ყმასა მას ზედა შვიდგზის და განახვანა ყრმამან თვალნი თვისნი“. „წიგნი მეფეთა“ 4,36. სხვა გადმოცემა ამბობს, რომ საფრანგეთში და შვეიცარიაში XV ს. გავრცელებული იყო ერთგვარი ავადმყოფობა, რომელმაც ბევრი ხალხი იმსხვერპლა.

შენიშნეს, რომ თუ ვინმე ცხვირს დააცემინებდა არა კვდებოდა. ამიტომ შემოიღესო ცხვირის დაცემინებისას „იცოცხლეთ!“

### კალამპური

მოხდენილი სიტყვებით ოხუნჯობა, ზმა. 18 ს. პარიზში ცხოვრობდა გონებამახვილი მეაფთიაქე გვარად კალამპური. მის ოხუნჯობას მთელი პარიზი იმეორებდა. ამის შემდეგ ასეთ ოხუნჯობას კალამპური ეწოდა.

ზოგნიც ასე ფიქრობენ, თითქოს ეს სიტყვა იტალიურიდან, „კალამო ბურლარე“-დან წარმოიშვა, რაც კალმით ოხუნჯობას ნიშნავს.

### პანიკა. პანიკური შიში

მძაფრი შიში. ბერძნული მითოლოგიით პანი ტყის ღმერთი იყო. თავი თხისას მიუგავდა და რქები ჰქონდა, ფეხებიც ასევე თხისა ჰქონდა. ბალნით შემოსილს საზარელი ხმა ჰქონდა. ლამაზობით აფრთხობდა მშობარა მგზავრებს. აქედან წარმოიშვა პანის მიერ გამოწვეული შიში – პანიკა.

### პასკვილი

ნაწარმოები, რომლის მიზანია ვინმეს გინება, ცილისწამება, დაცინვა. ჩვეულებრივ ასეთი ნაწარმოები აწონი-იმურია.

XVI ს. რომში ცხოვრობდა გონებამახვილი ხარაზი პასკინო. პასკინოს უყვარდა დიდკაცების გამასხარაება და დიდი გონება მახვილობით დასცინოდა მათ. გამოთქმაც პასკინოს სახელისაგან წარმოიშვა.

### ციური მანანა

ძვირფასი რამ, სასიამოვნო და სასარგებლო.

გამოთქმა წარმოიშვა დაბადებიდან (ნიგნი 2 მოსესი „გამოსვლათა“).

მოსეს ებრაელები უდაბნოს გზით მიჰყავდა აღთქმული ქვეყნისაკენ. გზად პური შემოელიათ. ხალხმა იწყეს დრტვინვა. მაშინ ღმერთმა ციდან მანანა აწვიმათ და ხალხმა ჭამა იგი პურის მაგიერ. მანანა იყო თეთრი, ქინძისთავივით პატარა. მანანას დაგროვება არ შეიძლებოდა, ფუჭდებოდა. იგი მოდიოდა დილაობით, ამიტომ მას მოუთმენლად ელოდნენ. ამიტომ ამბობენ დღესაც „ციური მანანასავით ველი“ ამას და ამასო...

### საქართველოს ქორეოგრაფია

მის: თბილისი,  
ც. დავლიანის ქ. №26  
ტელ.: 599 90 75 65

Facebook – საქართველოს  
ქორეოგრაფია [www.qor.org.ge](http://www.qor.org.ge)

### სარედაქციო საბჭო:

რეზო ქვანიშვილი,  
იური ტორაძე,  
თენგიზ უთმელიძე,  
ურია დვალისვილი,  
ზაურ ლაზიშვილი,  
მურმან გამისონია.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

### რედაქტორი: ოლეგ ალავიძე

პასუხისმგებელი მდივანი:  
მანანა შუბიკიშვილი  
თანადამფინანსებელი –  
ქართული ქორეოგრაფიის  
ეროვნული ცენტრი:  
ზაზა მშაპანაძე